საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 7 ივლისი, 2011 წელი.

№126 (6737)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭიბებით ბუტთის გაფანა ყვეოა უკარტისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ანტიქრისტეს ხელობას მოვასწრეს

ნაციონალები – საპატრიარქოს წინააღმდეგ

ჩვენი სახელმწიფოებრივი და ეროვნული ინტერესების ხელყოფა!

ბუშინ, ქაშუეთის ეკლესიის წინ, პარლამენტის მიერ მიღებული კანონის გამოწვევის მოთხოვნით, საზოგადოების შეკრება გაიმართა.

მიიღეს საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მიმართვა:

2011 წლის 5 ივლისს, ქართული ეკლესიისა და ქართველი ხალხისთვის ფარულად და მოულოდნელად, საჯარო დისკუსიისა და საზოგადოებრივი აზრის კვლევის გარეშე საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი რელიგიური ორგანიზაციებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების შესახებ.

მიგვაჩნია, რომ ქართველი ხალხი და საქართველო ყოველთვის იყო და დღესაც რჩება ტოლერანტულ სახელმწიფოდ, სადაც განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლებს სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობიან, მაგრამ ქართველი საზოგადოებისთვის ყოვლად მიუღებელია, დემოკრატიული ღირებულებების იგნორირებისა და დედაეკლესიის როლის დაკნინების ხარჯზე, სხვა აღმსარებლობის წარმომადგენელთა "უფლებების დაცვა", რაც ისედაც დაცულია და არ ილახება.

საქმე ეხება ჩვენი სახელმწიფოებრივი და ეროვნული ინტერესების ხელყოფის მცდელობას, რასაც ქართველი ერი წინ უნდა აღუდგეს.

შექმნილ ვითარებაში, როცა საქართველოს პარლამენტმა მიმართა არა კონსენსუსის, არამედ კონფრონტაციის გზას, აუცილებლად მიგვაჩნია:

1. არაუგვიანეს 2011 წლის 15 ივლისისა, ზემოხსენებულ კანონს დაედოს ვეტო!

2. მართლმადიდებლობა საქართველოში გამოცხადდეს ოფიციალურ რელიგიად. ამ მიზნით, დაუყოვნებლივ დაიწყოს ხელმოწერების შეგროვება და რეფერენდუმისათვის მზადება; დარწმუნებული ვართ, მართლმადიდებლობის გამოცხადება ოფიციალურ რელიგიად იქნება მყარი გარანტი განსხვავებული აღმსარებლობის, ჩვენი დების და ძმების რელიგიური მრწამსის დასაცავად;

3. მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები ჩაერთონ პოლიტიკისა და იდეოლოგიის განსაზღვრაში და ოფიციალური სტატუსით მონაწილეობა მიიღონ შემდეგი უწყებების საქმიანობაში: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და პირველი არხის სამეთვალყურეო საბჭო;

4. შეიქმნას ერთობლივი კომისია, რომელიც უზრუნველყოფს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის საკონსტიტუციო შეთანხმებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვას.

7 აქამდე დენი „გვირტყამდა“, ახლა, ჩანს, ნაგავიც „დაგვარტყამს“...

6 რასაც სხვები საუკუნეების განმავლობაში არ ეგუებიან, ჩვენ სამ წელიწადში შევეგუეთ

„მზერა საქართველოზე“ — რამდენი დაგვიჯდა გადაცემათა ციკლი? 5

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ 4 ივლისს გაკეთებული განცხადების შემდეგ საქართველოს საპატრიარქოში თავისი ინიციატივით მოვიდნენ საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები, რათა შემოეთავაზებინათ პირველი მოსმენით მიღებული კანონ-პროექტის შეცვლილი ვარიანტი, სადაც კვლავ უპირობოდ იყო დაფიქსირებული რელიგიური გაერთიანებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირად აღიარების საკითხი.

საპატრიარქო კვლავ აყენებდა წინადადებას კანონის მიღების პროცესის შეჩერების, მისი საჯარო განხილვისა და საზოგადოებრივი აზრის კონსენსუსის მიღწევის თაობაზე. შემდეგ კი საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით კომპრომისული ვარიანტიც შესთავაზა.

შეთანხმება ვერ შედგა, რაც მეტად სამწუხარო, რადგან აწ უკვე მიღებული კანონი ეწინააღმდეგება როგორც ეკლესიის, ისე ძვეყნის ინტერესებს.

ვფიქრობთ, ეს კანონი თავის უარყოფით შედეგებს ახლო მომავალშივე გამოიღებს, რაზეც პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება.

კანონი დაამტკიცა

საქართველოში მოქმედი რელიგიებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის შესახებ კანონი პარლამენტმა ერთხმად დაამტკიცა.

პროექტს მხარი დაუჭირა უმრავლესობის 70-მა დეპუტატმა არც ერთის წინააღმდეგ. კენჭისყრას ოპოზიცია არ ესწრებოდა, რადგან ის საკითხის განხილვის გადადებას ითხოვდა და კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარი თქვა.

როგორც პროექტის კენჭისყრამდე იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ პავლე კუბლაშვილმა განაცხადა, საპარლამენტო უმრავლესობასა და საპატრიარქოს შორის გამართულმა კონსულტაციებმა შედეგი ვერ გამოიღო.

კერძოდ, უმრავლესობა საპატრიარქოს სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში სახელმწიფოს მხრიდან დამატებითი უფლებამოვალეობის დეკლარირებას სთავაზობდა, მაგრამ, როგორც კუბლაშვილმა თქვა, შეთანხმება ვერ შედგა.

„სამოქალაქო კოდექსში“ ცვლილებების პროექტი პარლამენტში გასულ კვირას შევიდა. პროექტი პარლამენტმა დაჩქარებული წესით განიხილა და გუშინ როგორც მეორე, ისე მესამე მოსმენით დაამტკიცა.

ირაკლი ალასანია პრეზიდენტს ვეტოს უფლების გამოყენებისკენ მოუწოდებს

„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისგან პარლამენტის მიერ დღეს მიღებულ კანონთან დაკავშირებით ვეტოს უფლების გამოყენებას ითხოვს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარტიის პრესსამსახურში განუცხადეს, ირაკლი ალასანია ფიქრობს, რომ რელიგიური გაერთიანებებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებამდე საჯარო და მრავალმხრივი დისკუსია უნდა გამართულიყო.

„მივმართავ მიხეილ სააკაშვილს, გამოიყენოს ვეტოს უფლება და ერთპარტიული პარლამენტის მიერ ნაჩქარევად მიღებულ კანონს ხელი არ მოაწეროს, რათა დაიწყოს ამ საკითხზე მრავალმხრივი საჯარო დისკუსია“, — განაცხადა ირაკლია ალასანიამ.

კანონი რელიგიური დენომინაციების შესახებ პრობლემას მთელ კავკასიაში შექმნის

გვემუქრება თუ არა ქვეყანაში ეთნიკურ-რელიგიური წონასწორობის დარღვევა?

საზაფხულო **არდადეგებზე გასვლამდე საკანონმდებლო ორგანომ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა გადაწყვიტა. მათ შორის აღმოჩნდა „კანონი რელიგიური დენომინაციების შესახებ“, რომელიც 1 ივლისს შემოიტანა განსახილველად და სულ რაღაც 5 დღეში ფორსირებული ტემპით მიიღო კიდეც.**

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა თორდიამ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში საუბარი არ არის ქონების რეგისტრაციაზე და არც მიწის უსასყიდლოდ გადაცემაზე, ან საბიუჯეტო დაფინანსებაზე, რითაც ქართული მართლმადიდებლური ეკლესია სარგებლობს, უბრალოდ კანონი გულისხმობს რელიგიური გაერთიანებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დარეგისტრირებას.

კანონპროექტის საჩქარო წესით მიღებას არ დაეთანხმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე და პარლამენტს საკითხის გადადებას ურჩია. ოპოზიციური ფრთის დიდი ძალისხმევისა და კრიტიკის მიუხედავად, ნაციონალურმა გუნდმა საპარლამენტო მოსმენა ჩვეულ რეჟიმში გააგრძელა. შესვენების დროს პავლე კუბლაშვილი პირადად გაემგზავრა ილია II-სთან მოსალაპარაკებლად და დაბრუნებისას კანონპროექტში ცვლილებებიც შეიტანა.

თავდაპირველ ვარიანტში აღნიშნული იყო, რომ იურიდიულ პირებად მიიჩნევიან ის რელიგიური გაერთიანებები, რომლებსაც მჭიდრო კავშირი გააჩნიათ საქართველოსთან. ესენი იყვნენ: რომაული კათოლიკური ეკლესია, სომხური სამოციქულო წმინდა ეკლესია, მუსლიმანთა თემი, იუდეველთა თემი და საქართველოს ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესია. ახლა კი ასეთი ჩანაწერი გაჩნდა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია იურიდიულ პირად დაარეგისტრიროს საქართველოსთან ისტორიული კავშირის მქონე რელიგიური გაერთიანებები, რომლებიც ასეთი სტატუსით სარგებლობენ ევროპის საბჭოს წევრ ქვეყანაში. კონსულტაციების შედეგად გადაწყდა, სამოქალაქო კოდექსში ხაზგასმით ჩაიწეროს, რომ კონსტიტუციური შეთანხმება მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს — საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას შეეხება და არა სხვა რომელიმე რელიგიას.

ოპოზიციური სპექტრი ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით ერთიანი აღმოჩნდა. თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია ერთხმად აღნიშნავდა, რომ პატრიარქის მოწოდების თანახმად, კანონი დაჩქარებული წესით არ მიიღო პარლამენტს და საზოგადოებრივი მსჯელობისა და განხილვის შემდეგ, კონსენსუსის შედეგად გადაწყვეტილიყო. უმრავლესობა კი ამტკიცებდა, რომ ამ კანონით ქვეყანა რელიგიური გაერთიანებების სამათლებრივ საკითხს წყვეტს, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს უშუალოდ სარწმუნოებასთან.

ამის მიუხედავად საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და პოლიტიკურმა პარტიებმა გადაწყვიტეს, საერთო-სახალხო პროტესტი გამოეხატათ ქაშუეთის ეკლესიასთან. სახელმწიფო ასრულებს ქართველი ერისა და მართლმადიდებლური ეკლესიისადმი მტრულად განწყობილი ძალების შეკვეთას. მოქმედებს შეფარული მეთოდებით და ცდილობს, საზოგადოებას სიტუაციაში ნათლად გარკვევის საშუალება არ მისცეს, — ვარაუდობენ უმრავლესობის გადაწყვეტილების გამო შეშფოთებული ადამიანები.

გუშინ ამ საკითხთან დაკავშირებით აქციის გამართვამდე საგანგებო ბრიფინგი დაინიშნა სტუდია „ოგიექტივში“. საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის ხელმძღვანელის **სოსო მანჯავაძის** მტკიცებით, **„ასეთი კანონის მიღება საქართველოს ისტორიულად ჩამოყალიბებული ეთნიკურ-რელიგიური წონასწორობის დარღვევას გამოიწვევს. უხეშად შეილახება საკონსტიტუციო შეთანხმება სახელმწიფოსა და საქართველოს ეკლესიას შორის, ხოლო სხვადასხვა რელიგიური დენომინაციები თანაბარ უფლებებს მიიღებენ, რაც საქართველოსთვის დამანგრეველი შედეგით დასრულდება“.** სოსო მანჯავიძე შეშფოთებულია იმით, რომ პარლამენტმა პატრიარქის აზრი არ გაითვალისწინა.

იხ. 5 გვ.

მეუფე ზენონი: ხელისუფლების ქმედებით გამარჯვებული გარეგინ მეორე აღმოჩნდა

ხელისუფლების ქმედებით გამარჯვებული აღმოჩნდა გარეგინ მეორე და მე მინდა გითხრათ, რომ დამარცხებული ქართული ეკლესია არც საქართველოში ვიქნებით და არც არსად , — ეს განცხადება ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის ეპარქიების მმართველმა მეუფე ზენონმა გააკეთა.

„როდესაც სომხეთის პატრიარქი ჩამოვიდა საქართველოში, ის ჩამოვიდა კონკრეტული მისიით: მიეღო საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი საქართველოში და მიეღო მესაკუთრის უფლების აღდგენა იმ ეკლესია-მონასტრებზე და ნაგებობებზე, რაზეც იგი აცხადებდა პრეტენზიას. ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ მის უწმინდესობასთან შეხვედრის შემდეგ, მისმა უწმინდესობამ, როდესაც მოისმინა ეს განცხადება, მას უთხრა, რომ არა გვაქვს საწინააღმდეგო, რომ მიიღოთ სტატუსი, თუმცაღა, ჩვენც გვაქვს ჩვენი მოთხოვნები სომხეთში ქართული ეპარქიისათვის სტატუსის მინიჭების შესახებ. და მაშინ ასეთი რამ მოხდა, რომ სომხეთის პატრიარქმა წინააღმდეგობა არ გამოხატა ამასთან დაკავშირებით, მაგრამ ბოლო წუთებში უარი განაცხადა ამ შეთანხმების ხელმოწერაზე“, — განაცხადა მეუფე ზენონმა.

მისივე თქმით, გარეგინ მეორის ვიზიტს ცოტა ხანში მოჰყვა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ედვარდ ნალბანდიანის ვიზიტი. მეუფე ზენონის აზრით, ეს ვიზიტი სწორედ „ამ სტატუსის მიღებას უკავშირდებოდა“.

„სომხურმა ეკლესიამ იმ წუთში მიზანს ვერ მიაღწია, როგორც მას ჰქონდა დასახული, მაგრამ მან მიაღწია ხელისუფლების საშუალებით... როდესაც სომხეთის პატრიარქი დაბრუნდა სამშობლოში, მის ვიზიტს საქართველოში მოყვა ძალიან უარყოფითი გამოხმაურება სომხურ წრეებში და ასეთი ტერმინითაც იყო ასახული, რომ სომხეთის პატრიარქი გამარჯვებული ვერ დაბრუნდა“, — აღნიშნა მეუფე ზენონმა.

მისივე განმარტებით, საქართველოში კათოლიკური და გაპტისტური ეკლესიები არ ითხოვდნენ საჯარო სამართლის იურიდიული სტატუსის მინიჭებას.

„დღევანდელი სტატუსის შესახებ, როდესაც გაჩნდა მოცემულობა, აღმოჩნდა, რომ კათოლიკური ეკლესია ამ თემასთან დაკავშირებით სრულიად არ იყო საქმის კურსში. უფრო მეტიც, მას ეს სტატუსი არ ჰქონდა მოთხოვნაში, მას ჰქონდა საერთაშორისო სტატუსის მოთხოვნა, იმიტომ, რომ ის საერთაშორისო სუბიექტს წარმოადგენს და, შესაბამისად, უნდოდა ამ სახით დარეგისტრირება საქართველოში.

ბაპტისტურ-ევანგელისტურ ეკლესიას, ასევე, არ მიაჩნდა და არ მიაჩნია, რომ ეს არის მისთვის საუკეთესო სტატუსი, მას თავისი ხედვები გააჩნია“, — განაცხადა მეუფე ზენონმა.

ეროვნული ფორუმი: საზოგადოებას სრული უფლება აქვს, ხელისუფლებას საპატრიარქოს პოზიციის იგნორირებისთვის პასუხი მოსთხოვოს

ამის **შესახებ „პირველს“ პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კომენტირებისას „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ანი მიროტაძემ განუცხადა.**

„ის, რაც დღეს ხელისუფლებამ გააკეთა, ქართული ეკლესიის სრული იგნორირება იყო. თავის დროზე, როცა ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის კონკორდატი გაფორმდა, მასში ნათლად იყო მითითებული, რომ რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით ხელისუფლება ეკლესიასთან შეთანხმებით იმოქმედებდა. დღევანდელმა ფაქტმა დააადასტურა, რომ ეს პირობები არ სრულდება, რითიც ხელისუფლება ეკლესიით დაწყებული, სხვა დემოკრატიული ინსტიტუტებით დამთავრებული, ყველას იგნორირებას უწევს. ვთვლით, რომ აღნიშნული საკითხი საქართველოს საპატრიარქოსთან შეთანხმებით უნდა გადაწყვეტილიყო, აღნიშნული კანონპროექტის დაჩქარებული წესით მიღება კი აჩენს სერიოზულ ეჭვს, რომ ხელისუფლების ამ გადაწყვეტილების უკან გარკვეული ინტერესები დევს, რაც, როგორც საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, როგორც ეკლესიის, ისე ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგება“, — განაცხადა მირიტაძემ.

მისივე თქმით, „საზოგადოებამ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ მკვეთრი პოზიცია უნდა დააფიქსიროს, ვინაიდან მას სრული უფლება აქვს, ხელისუფლებას ეკლესიის იგნორირებისთვის პასუხი მოსთხოვოს“.

პავლე კუბლაშვილი: ნებისმიერ ქვეყანაში კანონის მიღება პარლამენტის პრერეგატივაა და ეს ვინმესთან სავალდებულო შეთანხმებას არ ითვალისწინებს

მმართველი უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი **პავლე კუბლაშვილი** ცალსახად აცხადებს, რომ „ნებისმიერ ქვეყანაში კანონის მიღება პარლამენტის პრერეგატივაა და ეს პროცესი ვინმესთან სავალდებულო შეთანხმებას არ ითვალისწინებს".

ასე უპასუხა კუბლაშვილმა „პირველის" თხოვნას, განემარტა, **„რატომ არ მომზადდა რელიგიური გაერთიანებების სტატუსთან დაკავშირებული კანონპროექტი ეკლესიის მონაწილეობით მაშინ, როცა საპატრიარქოსთან გაფორმებული კონკორდატის თანახმად, რელიგიებთან დაკავშირებით სახელმწიფომ გადაწყვეტილება ეკლესიასთან შეთანხმებით უნდა მიიღოს?".**

„სამწუხაროდ, კონკორდატს არასწორად კითხულობთ. საპატრიარქოს პოზიცია ჩვენთვის მნიშვნელოვანია და კონსულტაციებიც ამიტომ გაიმართა, თუმცა გადაწყვეტილებას პარლამენტი იღებს. ნებისმიერ ქვეყანაში კანონის მიღება პარლამენტის პრერეგატივაა, რაც ვინმესთან სავალდებულო შეთანხმებას არ ითვალისწინებს" — განუცხადა „პირველს" კუბლაშვილმა.

სამოქალაქო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი პარლამენტმა დაჩქარებული წესით, **70 ხმით არც ერთის წინააღმდეგ დაამტკიცა.**

მმართველმა უმრავლესობამ ამ მიმართულებით საბოლოო გადაწყვეტილება იმდენად სწრაფად მიიღო, რომ მიღებული ცვლილებების საბოლოო ვარიანტი იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ პავლე კუბლაშვილმა მხოლოდ ზეპირსიტყვიერად გაახმოვა, სასესიო დარბაზში კი ბოლო მომენტამდე || მოსმენისთვის მომზადებული კანონპროექტი იყო წარმოდგენილი.

უშედეგო აღმოჩნდა საპატრიარქოსთან გამართული კონსულტაციებიც: კანონპროექტის საბოლოო ვარიანტში (ზეპირგახმოვანებით მიღებულში) ხელისუფლების რიგი ვალდებულებები არ აისახა.

„საპატრიარქო ითხოვდა, რომ იმ რელიგიური გაერთიანებების ჩამონათვალი, რომელთაც საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დარეგისტრირების უფლება მიეცემოდათ, მაქსიმალურად მცირე ყოფილიყო. ეს დისკრიმინაციული მიდგომაა, რაზეც ჩვენ უარი ვთქვით", — აცხადებს კუბლაშვილი.

„სამოქალაქო კოდექსში" შესატან ცვლილებებთან დაკავშირებული კანონპროექტის ვარიანტი, რომელიც ||| მოსმენის წინ ლაშა თორდიამ კოლეგებს გააცნო და რომლის თანახმად, კანონში უნდა ჩაწერილიყო, რომ სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, აწარმოოს მოლაპარაკებები შესაბამის სახელმწიფოებთან მათ ტერიტორიებზე არსებული ყველა ქართული მართლმადიდებლური ტაძრის, მონასტრის, ნაგრევის, სხვა საეკლესიო ნაგებობის, ასევე სხვა საეკლესიო ნივთების დაცვის, მოვლა-პატრონობისა და საკუთრების თაობაზე, აგრეთვე შესაბამის სახელმწიფოსთან საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის სტატუსთან დაკავშირებით, საბოლოო ვარიანტში არ ჩაიდო.

პროექტში ასევე არ იარსებებს გაჭლერებული დაპირება იმის შესახებ, რომ საქართველოს პარლამენტი თავის თავზე იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს ცვლილებების მომზადება შესაბამის კანონში, რომლითაც განისაზღვრება ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქართული მართლმადიდებლური ტაძრების დაცვის დამატებითი ღონისძიებები.

„ჩვენი შეთავაზება, სამწუხაროდ, მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდა", — აცხადებს კუბლაშვილი.

ექსპერტი კავკასიის საკითხებში **მამუკა არეშიძე** საქართველოს პარლამენტის მიერ სხვადასხვა კონფესიებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებაში საქართველოსთვის საფრთხეებს ხედავს.

როგორც „ინტერპრესნიუსს" არეშიძემ განუცხადა, ქვეყნის ინტერესებისთვის საფრთხეს შედარებით მცირერიცხოვანი რელიგიური კონფესიები არ წარმოადგენენ, მით უფრო ისინი აგრესიით არ გამოირჩევიან, თუმცა სტატუსით გევრი პრივილეგიის მოთხოვნის უპირატესობა მიენიჭებათ.

„ეს სერიოზული სტატუსია და ამის მინიჭების გამო მათ უკვე ბევრი რამის მოთხოვნა შეუძლიათ; სერიოზული პრობლემები შეუძლიათ შეუქმნან სახელმწიფოს, თუ მოინდომებენ. აღნიშნული პრობლემა არ არის იუდეველებისა და ტრადიციული ისლამის მიმდევართა მხრიდან, რადგან ისინი მცირერიცხოვანნი არიან; გარდა ამისა, მათთან ყველაფერი გარკვეულია; ამასთან ერთად, ისინი ნაკლებად აგრესიულობით გამოირჩევიან. რაც შეეხება კათოლიკურ ეკლესიას, ჩვენ ვიცით მისი განწყობები, რომელიც ორიენტირებულია უფრო მეტი სივრცის დაკავებაზე. ეს გასაკვირი არ არის, მისი მისიონერული მოღვაწეობა არის ძალიან სერიოზული და, აქედან გამომდინარე, გარკვეულ ხიფათს ქართული საზოგადოების გახლეჩვასთან დაკავშირებით შეიცავს, თუმცა მე არანაირი საწინააღმდეგო არ მაქვს არც ერთი კონფესიის მიმართ", — განაცხადა მამუკა არეშიძემ.

ამასთან, მისივე აზრით, საქართველოსთვის სერიოზული საფრთხე შეიძლება გახდეს სომხური გრიგორიანული ეკლესიის სურვილები.

„რაც შეეხება სომხურ გრიგორიანულ ეკლესიას, აქ დაპირისპირება სერიოზულია. სტატუსის გადაწყვეტის შემდეგ აუცილებლად მწვავედ დადგება ეკლესიების საკითხი და არა მარტო იმ 4 ეკლესიის, რომელზეც საუბარი იყო სომხეთის პატრიარქის ვიზიტის დროს. აუცილებლად დადგება იმ ეკლესიების საკითხიც, რომელიც არაფორმალურად იჩენს-ხოლმე თავს და მათი რაოდენობა 300-ია", — აღნიშნა არეშიძემ.

მისივე თქმით, სომხური მხარისგან არ იქნა გაზიარებული ქართული ეკლესიების სტატუსის საკითხი, თუმცა აღნიშნული სტატუსის აღიარება რომ მოხდეს, მაინც შეუსრულებელი დარჩება.

მამუკა არეშიძე: სომხური გრიგორიანული ეკლესიის სურვილები შეიძლება საქართველოსთვის სერიოზული საფრთხე გახდეს

„სომხური მხარისგან არ იქნა მიღებული ქართული მხარის წინადადება, იგივე სტატუსი მიეღო ქართულ ეკლესიებს სომხეთში. რომც მიიღოს, ეს მაინც იქნება პრობლემური. ამ საკითხს მომზადება სჭირდებოდა, თორემ წინააღმდეგობაში არ არის საქმე. მომხრეა თუ წინააღმდეგია ვინმე, ეს საკითხი ყველანაირად მოუმზადებელია", — განაცხადა მამუკა არეშიძემ.

მამუკა არეშიძის თქმით, საქართველოს პარლამენტის მხრიდან კონფესიების სტატუსთან დაკავშირებული მოსმენები, გარკვეულწილად, სომხეთის პატრიარქის გარეგინის ვიზიტსაც უკავშირდება.

მამუკა არეშიძემ ისიც აღნიშნა, რომ ნაჩქარევი საპარლამენტო განხილვა საქართველოს ხელისუფლების ინტერესებში იყო, რომელიც სომხეთის ხელისუფლებას უკავშირდება. მიუხედავად ამისა, არეშიძის გაუმართლებლად მიაჩნია ხელისუფლების აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება საპატრიარქოსთან შეთანხმების გარეშე.

„გარეგინის ვიზიტის ფაქტორი იყო ამ საკითხის მოულოდნელად პარლამენტში გატანის საკითხი, მაგრამ არა გადამწყვეტი ფაქტორი. ჩვენს ხელისუფლებას რაღაცაში დასჭირდა სომხეთის ხელისუფლება და გადადგა ეს ნაბიჯი ისე, რომ საქართველოს ეკლესიას არ დაეკითხა. საოცარი ის არის, რომ პარლამენტის 2 ვიცე-სპიკერი პრაქტიკულად ყოველდღე პატრიარქთან იმყოფება. ნუთუ არ შეიძლებოდა, ის საქმის კურში ჩაეყენებინათ და ქართული ეკლესია მოემზადებინათ ამ საკითხის გადასაწყვეტად", — აღნიშნა არეშიძემ.

მამუკა არეშიძის თქმით, აღნიშნული სტატუსის დაკანონების შემდეგ, სომხური ეკლესია აუცილებლად მოითხოვს ეკლესიების, შენობებისა თუ მიწის გადაფორმების საკითხს.

„აუცილებლად იქნება მოთხოვნა — ეკლესიების, მიწის, შენობების დაკანონების შესახებ... მე მინდა, ქართულმა საზოგადოებამ, სამეცნიერო და პოლიტიკურმა წრეებმა არგუმენტად გამოიყენონ, რომ რაც არ უქნია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიას აფხაზეთში, ის გააკეთა სომხურმა გრიგორიანულმა ეკლესიამ, ანუ სომხური ეკლესია, რომელიც მოღვაწეობს აფხაზეთში 1993 წლის შემდეგ, გამოვიდა საქართველოში არსებული სომხური ეკლესიის წარმომადგენლობის დაქვემდებარებიდან და ნელ-ნელა ექვემდებარება როსტოვში არსებულ სომხური გრიგორიანული ეკლესიის წარმომადგენლობას. ეს არის ძალიან სერიოზულ არგუმენტი და არავინ არ ცდილობს ამ არგუმენტის გამოყენებას", — აღნიშნა მამუკა არეშიძემ.

მამუკა არეშიძის ვარაუდით, ხელისუფლების გადაწყვეტილება შესაძლოა, უკავშირდებოდეს ჯავახეთში გარეგინის ვიზიტის ერთ ეპიზოდს, როდესაც სომხეთის პატრიარქმა ეჩმიაძინში დარეკა და 16 ივლისს სომხური ეკლესიის სინოდი დანიშნა, სადაც, სავარაუდოდ, ჯავახეთის ეპარქიის შექმნის საკითხი უნდა დამდგარიყო.

„რამდენადაც ჩემთვის გახდა ცნობილი, ჯავახეთში ყოფნის დროს სომხეთის პატრიარქმა გარეგინმა დანიშნა სინოდის სხდომა 16 ივლისს, ჯავახეთიდან შეატყობინა ეჩმიაძინში თავის გარემოცვას სინოდის შეკრების შესახებ. მე და იმ ადამიანებს, ვინც ამ საქმეში ჩახედულია, ბუნებრივი ეჭვი გაგვიჩნდა, რომ არ არის გამორიცხული, 16 ივლისის სინოდის სხდომაზე დადგეს ჯავახეთის ეპარქიის შექმნის საკითხი, ანუ — საქართველოში მოღვაწეობს სომხური ეკლესიის ერთი ორგანო — ეს არის თბილისის ეპისკოპატი, ასე ვთქვათ. აი, ამას უნდა გამოეყოს, როგორც ჩანს, ჯავახეთის ეპარქია. ეს არ არის სასიამოვნო ფაქტი. მართალი რომ გითხრათ და მე არ გამოვრიცხავ, საქართველოს ხელისუფლების ეს ნაჩქარევი ნაბიჯი იმიტომ იქნა გადადგმული, რომ სინოდის სხდომაზე ეს ამბავი არ მოხდეს. თუმცა, ეს ჩემი ვარაუდია და შეიძლება, არც გამართლდეს", — განაცხადა საუბრის ბოლოს მამუკა არეშიძემ.

ინტერპრესნიუსი

ზაქარია ქუცნაშვილი: ხელისუფლებამ ქართულ ეკლესიას სხვა ქვეყნებში საკუთარი უფლებების დაცვა გაურთულა

კონსტიტუციონალისტი **ზაქარია ქუცნაშვილი** რელიგიური გაერთიანებებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების შესახებ პარლამენტის გუშინწინდელ გადაწყვეტილებას **„უვარგისად და უსამართლოდ"** აფასებს.

როგორც ქუცნაშვილმა „პირველს" განუცხადა, **„ამ საკანონმდებლო ცვლილებებით საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის რანგს ის კონფესიები უთანაბრდება, რომელთაც საქართველოს წინაშე არავითარი ან ძალიან მცირე დამსახურება აქვთ".**

„მაგალითად, ბაპტისტური ეკლესიის (რომელსაც საქართველოს ისტორიაში ნამდვილად არანაირი წვლილი არ მიუძღვის) მართლმადიდებელ ეკლესიასთან გათანაბრება შეურაცხმყოფელია. ასეთი ცვლილებები გაუგებარია და უსამართლო, ეს უსამართლობა კი, თავის მხრივ, საზოგადოებაში უკმაყოფილებას იწვევს. გარდა ამისა, ეს ცვლილებები საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ართმევს შანსს, სხვა ქვეყნებს იქ საკუთარი ეკლესიების უფლებების დაცვაზე ესაუბროს. მაშინ, როდესაც, მაგალითად, სომხეთი, თურქეთი, იტალია და სხვები ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას ამ იურიდიულ სტატუსს არ ანიჭებენ, ამ ცალმხრივი აღიარებით ჩვენ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მათთან მიმართებაში არათანაბარ მდგომარეობაში ვაყენებთ, რაც, თავის მხრივ, ქართული ეკლესიისთვის ამ ქვეყნებში საკუთარი უფლებების დაცვას გაართულებს" — განუცხადა „პირველს" ქუცნაშვილმა.



ქახა კუკავა: ხელისუფლებამ პატრიარქი უსუსურ მდგომარეობაში ჩააყენა

გუშინწინ პარლამენტმა „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში" შესატანი ცვლილებების კანონპროექტი მესამე მოსმენით დაამტკიცა. საკითხთან დაკავშირებით, მედია-კავშირ „ოგიეტივთან", პარტია „თავისუფალი საქართველოს" თავმჯდომარე **ქახა კუკავამ** ისაუბრა:

„მე მომხრე ვარ, რომ რელიგიურ უმცირესობებს ჰქონდეთ ის სტატუსი, რაც დღეს მიიღეს, თუმცა ეს არ უნდა ხდებოდეს ცალმხრივად. საქართველოს ხელისუფლებამ ჩვენს ეკლესიას გამოაცალა არგუმენტი, რომ სომხეთში იგივე სტატუსი მიეღო, რაც საქართველოს პარლამენტმა მათ დაუკანონა. ისე გამოვიდა, რომ ხელისუფლებამ პატრიარქი უსუსურ მდგომარეობაში ჩააყენა", — განაცხადა კუკავამ.

ნაციონალები - საპატრიარქოს წინააღმდეგ

ნაციონალები საპატრიარქოს უკვე ღიად დაუპირისპირდნენ. რატომ გაკეთდა ეს მაინცდამაინც ახლა, ძნელი სათქმელია. მაგრამ, ფაქტია, რომ ხელისუფლებას ეს ყველაფერი კარგად ჰქონდა გათვლილი. ყოველ შემთხვევაში, კანონპროექტი, რომელიც საქართველოში არსებული რელიგიებისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭებას ითვალისწინებს, მოულოდნელად იქნა ინიციირებული და ძალზე დაჩქარებული წესით განიხილეს. რაც მთავარია, საპატრიარქოს არც ერთი შენიშვნა არ გაითვალისწინეს.

საუბარია საპარლამენტო უმრავლესობის წარმოადგენლების ლაშა თორდიას, ჩიორა თაქთაქიშვილის და ნუგზარ წიკლაურის მიერ მომზადებულ კანონპროექტზე, რომელიც „სამოქალაქო კოდექსში“ ცვლილებების შეტანას ითვალისწინებს.

ცვლილებების თანახმად, საქართველოსთან ისტორიულ ურთიერთობაში მყოფ და ევროსაბჭოს ქვეყნებში რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მიენიჭებათ.

კანონპროექტის თავდაპირველი ვარიანტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დარეგისტრირების უფლება ხუთ რელიგიურ კონფესიასა: რომაულ კათოლიკურ ეკლესიას, სომხურ სამოციქულო ეკლესიას, მუსლიმანთა თემს, იუდეველთა თემს და საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტურ ეკლესიას ენიჭებოდა.

პარლამენტში მეორე მოსმენისთვის წარმოდგენილ კანონპროექტში ასეთი ჩამონათვალი აღარ არსებობდა და მასში ჩაიწერა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დარეგისტრიროს საქართველოსთან ისტორიული კავშირის მქონე რელიგიური გაერთიანებები, ან ის რელიგიური გაერთიანებები, რომლებიც ასეთი სტატუსით ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში სარგებლობენ.

მეორე მოსმენისათვის წარმოდგენილ კანონპროექტში კიდევ ერთი ცვლილება აღმოჩნდა. კერძოდ, რელიგიურ გაერთიანებებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დარეგისტრირების უფლების მინიჭების მიუხედავად, სურვილის შემთხვევაში, კერძო სამართლის -არასამეწარმეო (არაკომერციულ) სუბიექტებად დარეგისტრირების უფლება არ ეზღუდებათ.

ამასთან, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით რეგისტრირებული რელიგიური გაერთიანებების მიმართ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონი არ გავრცელდება.

კანონპროექტი პარლამენტში ხუთშაბათს, 30 ივნისს დარეგისტრირდა და პარასკევს, 1 ივლისს რიგგარეშე სესიაზე პირველი მოსმენით მიიღეს.

ამ რამდენიმე დღის განმავლობაში კი, ამ კანონპროექტის ირგვლივ საკმაოდ დიდი აჟიოტაჟი ატყდა, რადგან საზოგადოების დიდ ნაწილს სჯერა, რომ ამით მართლმადიდებლობის როლის დაკნინება ხდება.

მართალია, ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ცვლილება რელიგიური კონფესიებისთვის მხოლოდ იურიდიული სტატუსის მინიჭებას ითვალისწინებს და ამით მართლმადიდებელ რელიგიას არანაირი საფრთხე არ ექმნება, მაგრამ თავად იმ ფაქტმა, რომ კანონპროექტი ძალზე დაჩქარებული წესით, ყოველგარი ახსნა-განმარტებების გარეშე მიიღეს, ძალზე ბევრი კითხვა გააჩინა. ეს კითხვები კი ბოლო დღეების განმავლობაში საპარტრიარქოს მხრიდან გაკეთებულმა მოწოდებამაც გააძლიერა, სადაც ხელისუფლებას სთხოვდნენ, რომ აღნიშნული საკითხი შეუსწავლელად არ მიეღოთ.

გუშინ დღის განმავლობაში იმის მოლოდინიც გაჩნდა, რომ ხელისუფლება საპატრიარქოს ამ მოწოდებას გაიზიარებდა, მაგრამ საბოლოოდ შეთანხმებას მაინც ვერ მიაღწიეს.

ხელისუფლება მხოლოდ იმის ვალდებულებას იღებს, რომ შესაბამის ქვეყნებთან ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დაცვისა და სტატუსის შესახებ მოლაპარაკებები აწარმოოს.

ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა პავლე კუბლაშვილმა საპატრიარქოში რელიგიური გაერთიანების სტატუსის შესახებ კონსულტაციები გამართა.

მანამდე კი სესიაზე კანონპროექტის ერთ-ერთმა ავტორმა ლაშა თორდიამ პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე განაცხადა, რომ „კონსულტაციების შედეგად გადაწყდა, კოდექსში ხაზგასმით ჩაიწერება, რომ კონსტიტუციით შეთანხმება მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლურ ეკლესიას ეხება“.

თორდიას თქმით, ასევე კონსულტაციების შედეგად გადაწყდა, რომ სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, აწარმოოს მოლაპარაკებები შესაბამის სახელმწიფოსთან მათ ტერიტორიაზე არსებული ყველა ქართული მართლმადიდებლური ტაძრის, მონასტრის, ნანგრევის, სხვა საეკლესიო ნაგებობის, ასევე სხვა საეკლესიო ნივთების დაცვის, მოვალეობისა და საკუთრების თაობაზე, აგრეთვე შესაბამის სახელმწიფოსთან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსთან დაკავშირებით.

ამასთან, საქართველოს პარლამენტი თავის თავზე იღებს ვალდებულებას, რომ უზრუნველყოფს ცვლილებების მომზადებას შესაბამის კანონში, რომლითაც განისაზღვრება ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქართული მართლმადიდებლური ტაძრების დაცვის დამატებითი ღონისძიებები.

ეს არის ის საკითხები, რაც საპატრიარქოსთან დაჩქარებული წესით შეთანხმდა. მაგრამ, როგორც საბოლოოდ გაირკვა, პარლამენტმა მაინც ისეთი ცვლილება დააკანონა, რომელიც საპარტრიარქოსთვის მიუღებელი იყო.

როგორც კენჭისყრის შემდეგ პავლე კუბლაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, „საქართველოს საპატრიარქოსთვის სახელმწიფო მხრიდან ვალდებულებების აღების საკითხი მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდა“.

„დეტალებზე არ მინდა საუბარი, თუმცა საპატრიარქო ითხოვდა, რომ რელიგიურ გაერთიანებებს, რომელთაც საჯარო სამართლის იურიდიული პირად დარეგისტრირების უფლება მიეცემოდათ, მათი ჩამონათვალი მაქსიმალურად მცირე ყოფილიყო. ეს არის დისკრიმინაციული მიდგომა, რაზეც ჩვენ უარი ვთქვით“, – აღნიშნა კუბლაშვილმა.

ამასთან, საპარლამენტო უმრავლესობის წევრის განმარტებით, მათი მხრიდან საპატრიარქოს შესთავაზეს, რომ სახელმწიფო უცხო ქვეყნებში საკუთარ თავზე აიღებდა ყველა ქართული მართლმადიდებელი ტაძრის, მონასტრის, ნანგრევის, სხვა საეკლესიო ნაგებობის, ასევე სხვა საეკლესიო ნივთების დაცვის, მოვალეობისა და საკუთრების თაობაზე მოლაპარაკებები, ასევე შესაბამის სახელმწიფოსთან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებს; ასევე პარლამენტი ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართული ეკლესიების დაცვაზე დამატებით საკანონმდებლო ცვლილებებს განახორციელებდა.

აღსანიშნავია, რომ ეს კანონპროექტი დაჩქარებული წესით იხილებოდა და გარკვეული გაუგებრობა ამანაც გამოიწვია.

კანონპროექტი პირველი მოსმენით, პარასკევს, რიგგარეშე სესიაზე დაჩქარებული წესით მიიღეს და მაშინვე ითქვა, რომ ეს საკითხი განსჯას საჭიროებს და ამისთვის გარკვეული დრო იყო საჭირო.

მიუხედავად იმისა, რომ საპატრიარქოს მხრიდანაც იყო თხოვნა, საკითხი დაჩქარებულად არ განხილულიყო, პარლამენტმა გუშინ მაინც, მეორე და მესამე მოსმენით დაჩქარებული წესით განიხილა.

საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან კი ის არგუმენტი დასახელდა, რომ საკითხის გადადება საჭირო არ იყო.

საკითხის გადადების მოთხოვნით ჯონდი გაღათურია, ლევან ვეფხვაძე და გურამ ჩახვაძე გამოვიდნენ.

„ეკლესიამ გუშინ მოგვიწოდა, რომ გადავდოთ ამ საკითხის განხილვა. ამასთან, საჭიროა კონსულტაციები როგორც საპატრიარქოსთან, ასევე იმ რელიგიური გაერთიანებებთან, რომლებსაც ეს ცვლილება შეეხებათ. ამ ცვლილებით, ფაქტობრივად, შემოგვაქვს აღიარებული რელიგიების ცნება, რომელიც შემოტანილ რედაქციაში ნათლად არ არის განმარტებული. შესასწავლია აღიარებული რელიგიების შესახებ საერთაშორისო პრაქტიკა“, - განაცხადა ლევან ვეფხვაძემ.

გურამ ჩახვაძემ კი კოლეგებს მოუწოდა, პატივი სცენ საპატრიარქოს განცხადებას და შეაჩერონ ცვლილების მიღება.

„გვაქვს საპატრიარქოს ოფიციალური განცხადება. ამ საკითხზე მსჯელობაა საჭირო, ამას საზოგადოება ელოდება. ერთადერთი მიზეზი, რატომაც ვითხოვ გადადებას, არის საპატრიარქოს თხოვნა. გთხოვთ, ანგარიში გაუწიოთ ამ თხოვნას და ეს საკითხი გადავდოთ. გასაგებია, რომ ვსაუბრობთ მეზობელ და სხვა კონფესიებზე, გვინდა, რომ დავადასტუროთ მათ მიმართ პატივისცემა, მაგრამ ამას ვერ გავაკეთებთ, თუ პატივი არ ვეცითა იმ ეკლესიას, რომლის შვილებიც ვართ“, – განაცხადა გურამ ჩახვაძემ.

პასუხად კი პავლე კუბლაშვილმა განაცხადა, რომ რელიგიური გაერთიანებების სტატუსის საკითხი წლების გამავლობაში საჭიროებდა მოგვარებას და ამ საკითხის განხილვის გადადება საჭირო არ არის.

„ჩვენ კონსულტაციები გავიარეთ ყველა დაინტერესებულ პირთან, მათ შორის – საპატრიარქოსთან. საკითხი განსახილველად მზად არის და არ არსებობს მისი გადადების აუცილებლობა“, – განაცხადა კუბლაშვილმა.

გოკა გაბაშვილის განცხადებით კი, ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას განსაკუთრებული სტატუსი აქვს, რაც განსაზღვრულია კონკორდატით და გამაგრებულია კონსტიტუციით.

„რაც შეეხება სამართლებრივ-ისტორიულ ფორმას, ამას არანაირი შეხება არა აქვს საპატრიარქოსთან, აქ საუბარია სხვა რელიგიურ გაერთიანებებზე და მათთვის სამართლებრივი ფორმის მოფიქრებაზე და შეთავაზებაზე, რომ მათი დარეგისტრირება მოხდეს“, – აღნიშნა გაბაშვილმა.

ამასთან, მან სახალხო დამცველის რეკომენდაციები დააასახელა, რამაც ოპოზიციის პროტესტი გამოიწვია.

როგორც გაბაშვილმა განაცხადა, სახალხო დამცველის ანგარიშში წლების განმავლობაში ხედება ეს საკითხი, რომ სხვა რელიგიებთანაც უნდა გაფორმდეს ისეთი ხელშეკრულება, რაც მართლმადიდებელ ეკლესიასთან არის გაფორმებული. ამასთან, მან ისიც აღნიშნა, რომ ხელისუფლება ამას არ გააკეთებს, მაგრამ მათთვის იურიდიული სტატუსის მინიჭება აუცილებელია.

გაბაშვილის ამ განცხადებას კი ჯონდი გაღათურიას პროტესტი მოჰყვა.

„სახალხო დამცველს ძალიან ბევრი სხვა რეკომენდაციაც აქვს მოცემული და მაინტერესებს, რატომ იმ რეკომენდაციებს არ ასრულებთ? ეს არის სწორედ ორმაგი მიდგომა“, – განაცხადა ჯონდი გაღათურიამ.

უმრავლესობის არგუმენტი კი ის იყო, რომ ოპოზიციის მხრიდან ვერ მოისმინა არგუმენტი, თუ კონკრეტულად რა არ მოსწონდათ და მხოლოდ იმის გამო, რომ საკითხის განხილვა არ უნდოდათ, ვერ გადადებდნენ.

ამასთან, როგორც კუბლაშვილი აცხადებდა, ხელისუფლებამ საკითხის სესიაზე გამოტანამდე კონსულტაციები საპატრიარქოსთან გაიარა და საკითხები შეთანხმდა.

კონსულტაციების გამართვა საპატრიარქოშიც დაადასტურეს. თუმცა, მათ შეთანხმებაზე არაფერი უთქვამთ.

„ჩვენ მოვითხოვეთ სამი პუნქტის დამატება. აღნიშნულ საკითხზე ერთ კონსულტაციას კიდევ გავმართავთ და საბოლოო პასუხი დაახლოებით ერთ საათში გვეცოდინება“, – აღნიშნა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ „ჟი-ეიჩ-ენ“-თან საუბრისას გუშინ იმ დროს, როდესაც საკითხი მეორე მოსმენით უკვე მიღებული იყო და მესამე მოსმენისთვის მზადება მიმდინარეობდა.

მამა გიორგიმ თავი შეიკავა იმ სამი პუნქტის დასახელებისგან, რომელთა დამატებასაც საქართველოს საპატრიარქო ითხოვს სამოქალაქო კოდექსში შესატანან ცვლილებებთან დაკავშირებით.

საბოლოოდ კი გაირკვა, რომ ხელისუფლებას და საპატრიარქოს შორის შეთანხმება ვერ შედგა. სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, საქართველოსთან ისტორიულ ურთიერთობაში მყოფ და ევროსაბჭოს ქვეყნებში რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მიენიჭებათ.

რატომ გახდა ამ კანონპროექტის ასე ნაჩქარევი განხილვა საჭირო, არავინ იცის. თუმცა, საარჩევნოდ მაინც გამოჩნდება. მაგრამ მთავარი ის არის, რომ კანონპროექტი შემუშავებულიც კი არ იყო და ტექსტს მთელი დღის განმავლობაში უშუალოდ სესიაზე წერდნენ, რაც, ცხადია, რეგლამენტის დარღვევაა. მაგრამ ამით არავინ შეწუხებულა.

ეს კანონპროექტი პირველი მოსმენით, ასევე დაჩქარებული წესით, 1 ივლისს მიიღეს. შენიშვნები მაშინვე გამოითქვა და ისიც ითქვა, რომ ამ კანონპროექტის ასე ნაჩქარევად მიღება საჭირო არ იყო, მაგრამ ხელისუფლებისთვის ეს არგუმენტი, როგორც წესი, მისაღები არ აღმოჩნდა. თუმცა, კანონპროექტს დერეფნებში რომ ასწორებდნენ, ფაქტია.

სესიის დაწყებამდე ერთი საათით ადრე იურიდიული კომიტეტის სხდომა იყო დანიშნული და ეს კანონპროექტი მეორე მოსმენით უნდა განეხილათ.

შეგახსენებთ, რომ მეორე მოსმენით ხდება მუხლობრივი განხილვა და კანონპროექტის მიღების პროცედურაში ყველაზე მნიშვნელოვანი საფეხურად სწორედ მეორე მოსმენა მიიჩნევა.

კომიტეტის სხდომის დაწყებამდე რამდენიმე ჟურნალისტი იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან კახა ანჯაფარიძესთან და საია-ს საპარლამენტო მდივანთან თათული თოდუასთან ერთად ვსაუბრობდით იმ საკითხზე, რომ კანონპროექტის გარკვეული მუხლები დისკრიმინაციული იყო.

ეს ეხება კანონპროექტის თავდაპირველი ვარიანტის იმ მუხლს, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსს მხოლოდ ხუთი კონფესია მიიღებდა.

საია-ის წარმომადგენელმაც აღნიშნა, რომ ეს მუხლი აშკარად დისკრიმინაციულია და ყველა იმ კონვენციას ეწინააღმდეგება, რაზეც საქართველოს ხელი აქვს მოწერილი ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ და ისიც დასძინა, რომ მისი ორგანიზაცია ამ საკითხს კომიტეტის სხდომაზე აუცილებლად დააყენებდა.

ანჯაფარიძემ ეს რომ მოისმინა, ჯერ საია-ს წარმომადგენელს დაეთანხმა, მერე თქვა, კომიტეტის სხდომა ნახევარი საათით გვიან დაიწყებაო და გაუჩინარდა. კომიტეტის სხდომაზე კი, როდესაც თათული თოდუამ ეს საკითხი დააყენა, კანონპროექტის ავტორმა ლაშა თორდიამ განაცხადა, ეტყობა, თქვენ კანონპროექტის ჩასწორებული ვარიანტი არ გინახავთ, ეს მუხლი საერთოდ ამოღებულია და არ მესმის, რას აპროტესტებთო.

ოპოზიცია კი საკითხის გადადებას ითხოვდა და მათ ეს საკითხი ჯერ კომიტეტის სხდომაზე დააყენეს, შემდეგ ბიუროს სხდომაზე და ბოლოს სესიაზე. ისინი პარტრიარქის მიმართვასაც იშველიებდნენ, სადაც ნათქვამია, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუკი საკითხის გადადება მოხდებოდა და გადაწყვეტილება საფუძვლიანი განხილვის შემდეგ იქნებოდა მიღებული.

საკითხის განხილვის გადადება რამდენჯერმე მოითხოვეს ქრისტიან-დემოკრატებმაც და უშედეგო თხოვნის შემდეგ განაცხადეს, რომ ისინი განხილვაში მონაწილეობას არ მიიღებდნენ.

მაგრამ ხელისუფლებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ოპოზიციის ეს მოთხოვნა არ გაიზიარა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ხელისუფლება გუშინ საკმაოდ დაძაბული იყო. ყოველ შემთხვევაში, პარლამენტის პირველი ვიცესპიკერი მიხეილ მაჭავარიანი, რომელიც გუშინდელ სხდომას თავმჯდომარეობდა, იმდენად დაბნეული იყო, რომ პროცედურაც კი შეეშალა და რეგისტრაციის გარეშე დაიწყო სხდომა, რაც რეგლამენტის დარღვევაა. არადა, ეს მაჭავარიანისგან საკმაოდ უჩვეულოა.

ფაქტია, რომ ეს კანონპროექტი საკმაოდ უჩვეულო ვითარებაში მიიღეს და არსებულ ეჭვებს ეს ფაქტი კიდევ უფრო ამძაფრებს. რაში სჭირდებოდა ხელისუფლებას ამ კანონპროექტის ასე ნაჩქარევად მიღება, მით უმეტეს, თუ ეს ცვლილება რელიგიური კონფესიებისთვის მხოლოდ იურიდიული სტატუსის მინიჭებას ითვალისწინებს და ღირდა თუ არა ეს საპარტრიარქოსთან დასაპირისპირებლად, ეს უკვე უახლოეს პერიოდში გამოჩნდება.

ერთი რამ ფაქტია – თემამ საზოგადოება საკმაოდ ააღელვა. ეს კი საბოლოოდ რა ფორმას მიიღებს, არავინ იცის.

თეონა ხარაბაძე

Presage.tv

◎ კანონი და მართლმადიდებლობა

ეთნიკურ-რელიგიური კონფლიქტის ზღვარზე

— ამას წინათ, პარლამენტმა რელიგიურ მიმდინარეობებს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მიანიჭა, რომელიც მიზნად ისახავს, ხალხებს შორის რელიგიური და ეთნიკური შუღლის გაღვივებას, მართლმადიდებლური ეკლესიის დისკრედიტაციასა და ავტორიტეტის შელახვას, — განაცხადა ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გუგავამ. — ამ გადაწყვეტილებით ყველა რელიგიური კონფესია მართლმადიდებლური ეკლესიის რანგში აიყვანეს. გამოჩნდა ის დამოკიდებულებაც, რომელიც ხელისუფლებას დედა ეკლესიისა და მრევლის მიმართ აქვს. პრეზიდენტს ეზიზღება ეკლესია და მისი საჭეთმპყრობლის ავტორიტეტი. ამიტომაც არ მოერიდა კონფლიქტს.

სააკაშვილი ცდილობს დასავლეთს თავი „შეასაღლოს“, როგორც ლიბერალმა მმართველმა და დაარწმუნოს ისინი ხელისუფლებაში ნაციონალების დარჩენის აუცილებლობაში — დასძინა გიორგი გუგავამ.

ხელისუფლების ამგვარ გადაწყვეტილებას იგი სომხეთის პატრიარქისა და საგარეო უწყების ხელმძღვანელის ედუარდ ნალბანდიანის ვიზიტს უკავშირებს.

როგორც ცნობილია, კანონპროექტის პირველი განხილვა 1 ივლისს გაიმართა, რასაც გამოეხმაურა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, და მის დაკანონებამდე საჯარო განხილვა-დებატების გამართვის აუცილებლობაზე ისაუბრა, რადგან ეს არსებითად განსაზღვრავს სახელმწიფო მოწყობის ძირითად პრინციპებს...

გიორგი გუგავამ პარტიის სახელით მიმართა პრეზიდენტს — ვეტო დაადოს კანონს, რათა თავიდან ავიცილოთ ამ პროვოკაციის უმძიმესი შედეგები. ამ საკითხზე გუშინ სალამოს 6 სთ-ზე რუსთაველის გამზირზე, ქაშუეთის ეკლესიის წინ „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ორგანიზებით, საპროტესტო აქცია გაიმართა.

გულნაზ გახარია

კანონი რელიგიური დენომინაციების შესახებ პრობლემას მთელ კავკასიაში შექმნის

(მეორე გვერდიდან)

ამ ყველაფერში კი სომხეთი ძლიერი ლობის ხელს ხედვს, რომელსაც საართველო თავის საზიანოდაც კი ანგარიშს უწევს: **„სომხეთის პატრიარქის ვიზიტმა შედეგი ვერ გამოიღო, რადგან ილია II-ს ამ საკითხზე ნათელი შეხედულება ჰქონდა. ამას მოჰყვა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სასწრაფო ვიზიტი და იურიდიული სტატუსის საკითხზე საუბარიც ამის შემდეგ დაიწყო პარლამენტმა, თანაც ფორსირებულად. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სომხური დიასპორის წარმომადგენელმა რუსეთში არამ აბრამიანმა 90 მილიონი ხელმოწერა შეაგროვა, მოთხოვნით — საერთაშორისო საზოგადოებამ სცნოს აფხაზებისა და ოსების დამოუკიდებლობა. ამას წინათ კი გაეროში სწორედ სომხეთის წარმომადგენელმა არ დაუჭირა მხარი კონფლიქტურ რეგიონებში ქართველების დაბრუნების რეზოლუციას... ამ ყველაფრის შემდეგ სომხების აზრის ასე ზედმიწევნით გათვალისწინება აშკარად იწვევს ჩვენს ეჭვებს“,** — დასძინა მან.

ადა მარშანიამაც სწორედ სომხური საზოგადოების მისამართით გააკეთა განცხადება და მოუწოდა აქ მცხოვრებ სომხებს, ქართველებთან ერთად გამოვიდნენ აქციაზე და იბრძოლონ საქართველოს ეროვნულობის, იდენტურობისა და სახელმწიფოებრიობის დასაცავად. **„დიდხანს ვიყავი ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის მუდმივი წევრი. იქ ჩემს თვალწინ ხდებოდა ძალიან უცნაური ამბები, რადგან სომხებს თითქმის ყოველთვის ჩვენი საწინააღმდეგო პოზიცია ეკავათ. ძალიან გაუგებარი არგუმენტები ჰქონდათ: მოსახლეობის სახელით ცდილობთ სპეკულაციასო. კი მაგრამ, რატომ არის სპეკულაცია ის, თუ მე საკუთარ სახლში დაბრუნებას ვითხოვ?! ჩვენთან ბევრი სომეხი ცხოვრობს და ჩვენს კარგ მეზობლობას ნუ შევწირავთ რუსეთის ნეოიმპერიალისტურ ინტერესებს“,** — მიმართა მან სომხურ საზოგადოებას.

ბაია ამაშუკელმაც ყველა ეროვნების წარმომადგენლებს ერთიანობისკენ მოუწოდა: **„ჩვენ ამდენი ხანია ერთად ასე უდრტვინველად და მშვიდობიანად ვცხოვრობთ, რაც სწორედ ჩვენი სარწმუნოების — მართლმადიდებლური ეკლესიის სიმტკიცის დამსახურებაა. ჩვენ შეიძლება გავწიროთ შვილი, ძმა, ახლობელი ადამიანი, მაგრამ სარწმუნოებას და მიწა-წყალს — ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავწირავთ. ასეთი კანონი პრობლემური არა მხოლოდ საქართველოსთვის იქნება, არამედ ის დიდ თავსატეხს შეუქმნის კავკასიას“,** — დასძინა მან.

თეა მოსია

კანონი ცუდად მოგვარებული საქმე უკეთესობას რელიგიურ საკითხებში ვერ შექმნის

„საქართველოს მხრიდან საჩქაროდ ინიციატივის გამოჩენა სირთულეებს შექმნის ისედაც რთულ ურთიერთობაში სომხურ საპატრიარქოსთან, — ასე აფასებს ექსპერტი რამაზ საყვარელიძე საქართველოში მოქმედი რელიგიებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის შესახებ პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს. როგორც მან განაცხადა, **საქართველოს საპატრიარქოს აქვს თავისი პოზიციები, რომელზედაც ანგარიშის გაწევა ქვეყნის ინტერესებშია.**

— საკანონმდებლო ორგანომ ანგარიში არ გაუწია არაფერს. საპატრიარქოს აქვს თავისი პოზიცია ამ საკითხთან მიმართებაში. ეს პოზიციები გამოწვეულია იმით, რომ საპატრიარქოს სხვადასხვა ეკლესიებთან ურთიერთობაში თავისი პირობები აქვს. ამიტომ, საპატრიარქოს ჩაყენება მინიმუმ გაუგებარ მდგომარეობაში საერთოდ გაუმართლებელია. კიდევ ვიმეორებ, რომ საპატრიარქოს აქვს თავისი პოზიციები, რომელზედაც ანგარიშის გაწევა და აპელირება ქვეყნის ინტერესებშია. მაგალითად, საპატრიარქომ გამოუცხადა სომხეთის პატრიარქს, რომ ყველა პროცესი წავა პროპორციულად. ანუ, რასაც გააკეთებს ერთი მხარე, იგივეს გააკეთებს მეორე მხარე და ა.შ. ასე, რომ საქართველოს მხრიდან საჩქაროდ ინიციატივის გამოჩენა სირთულეებს შეუქმნის ისედაც რთულ ურთიერთობაში სომხურ საპატრიარქოსთან. რა საჭირო იყო ეს გაუგებარია. სომხეთს კი არ უჩანს იმის პირი, რომ მსგავსი გადაწყვეტილება მიიღოს. დრო პატრიარქმა იმიტომ მოითხოვა, რომ გაეაქტიურებინა სომხური მხარე ამ საკითხთან მიმართებაში, — განაცხადა რამაზ საყვარელიძემ.

◎ სრულიად გულახდილად

„სი-ენ-ენ“-ის პროექტი წმინდა კომერციული ხასიათის იყო და INVEST IN GEORGIA-მ ამაში ფული გადაიხადა

CNN-ზე გასული რეპორტაჟები საქართველოს შესახებ; რა შანსები აქვს ოპოზიციას საპარლამენტო არჩევნებზე, როგორია ქვეყანაში მოქმედი საარჩევნო კანონმდებლობა, 26 მაისის მოვლენები, — „ინტერპრესნიუსი“ ამ საკითხებზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ გამგეობის თავმჯდომარეს მარიკ მალენს გაესაუბრა.

— ცოტა ხნის წინათ „სი-ენ-ენ“-ზე გავიდა საქართველოს მომზადებული გადაცემების ციკლი — „მზერა საქართველოზე“. ერთ-ერთი თემა საქართველოში განხორციელებული პოლიციის რეფორმა იყო, რეპორტაჟის ერთ-ერთი რესპონდენტი თქვენც იყავით, როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ წარმომადგენელი...

— დიახ, ისინი საქართველოში ჩამოსვლამდე დამიკავშირდნენ და ინტერვიუს ჩაწერა მთხოვეს. რეპორტაჟში ჩემი კომენტარის მხოლოდ ის ნაწილი გაუშვეს, სადაც მედიაზე ვსაუბრობ. ეს არ ყოფილა გადაცემა საქართველოში კორუფციის არსებობაზე ან არარსებობაზე — ისინი რეპორტაჟს პოლიციაზე, ამ სისტემაში კორუფციასთან ბრძოლაზე ამზადებდნენ. ვთქვი, რომ ამ ქვეყანამ მართლა მიაღწია დიდ წარმატებებს კორუფციასთან ბრძოლაში. ზოგადად, ეს სატელევიზიო პროექტი წმინდა კომერციული ხასიათის იყო და Invest in Georgia-მ ამაში ფული გადაიხადა...

— ოფიციალური პირები უარყოფენ ამ ინფორმაციას...

— ვიცი, რომ სწორედ ამ კომპანიამ გადაიხადა ფული და ეს ნორმალურია. „სი-ენ-ენ“-ის წარმომადგენლებიც სულ ამბობდნენ, რომ რეპორტაჟებს Invest in Georgia-სთან თანამშრომლობით ამზადებდნენ, თანხის რაოდენობა არ ვიცი, მაგრამ ქართულმა მხარემ ფული ნამდვილად გადაიხადა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა მონაწილეობს ამ პროექტში — ხალხს ქვეყანაზე ინფორმაციას აწვდიან, ინვესტორებს კი აღუძრავენ სურვილს, კაპიტალი დააბანდონ.

ეს არ ყოფილა საგამოძიებო ჟურნალისტიკის ნაწარმოები, ისინი მოწოდებულები იყვნენ, პოტენციური ინვესტორებისთვის საქართველოზე ინფორმაცია მიეწოდებინათ და ვფიქრობ, რომ მათ ეს შეძლეს. ინვესტორი ჯერ უნდა დაინტერესდეს ქვეყნით და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაატარებს გარკვეულ კვლევას. ჩემი აზრით, მათ ამ რეპორტაჟების ნახვის შემდეგ ინტერესი უნდა გასჩენოდათ. ასეთი ტიპის გადაცემებს არ მოეთხოვება, რომ მათში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები დეტალურად აისახოს, საზღვარგარეთ მცხოვრებ ადამიანებს, რომელთაც არც ისე ბევრი გაუგიათ საქართველოზე, ნამდვილად არ დაინტერესებთ ეს საკითხები — ეს პრობლემები ქართულენოვანი მედიის გასაშუქებელია და ჩემი კრიტიკული მოსაზრება ქართულ მედიასთან დაკავშირებით სწორედ ამ თემას ეხება: ქვეყნის შიგნით არსებული პრობლემების მეტი და მეტი გაშუქება... ნამდვილად არ ვიცი, რამდენი გადაიხადა ქართულმა მხარემ, ეს უკვე ჟურნალისტების გამოსაკვლევი საკითხია. თუმცა, ქართველ ხალხს, რა თქმა უნდა, უფლება აქვს, გაიგოს, თუ რამდენი გადაუხადეს „სი-ენ-ენს“-ს ამ რეპორტაჟების მომზადებისათვის. არ მინახავს, თუ ვინ, ვის რამდენი გადაუხადა, მაგრამ ის დანამდვილებით ვიცი, რომ Invest in Georgia-მ ფული გადაიხადა, ალბათ, ეს არც ისე ცოტა თანხა იყო.

— ქართულ პერიოდულ გამოცემებში თქვენი არაერთი წერილი გამოქვეყნებულა. ერთ-ერთ ბოლო სტატიაში „საქართველო უკეთეს შეთავაზებას იმსახურებს“ ქვეყანაში საარჩევნო გარემოს შეცვლის აუცილებლობაზე წერთ. რა შანსები აქვს ოპოზიციურ პარტიებს მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე?

— ვფიქრობ, რომ ეს დიდწილად საარჩევნო კანონმდებლობაზეა დამოკიდებული, ასევე მათ მიერ წარმოებულ კამპანიაზე. კამპანიის წარმოება კი, სწორედ საარჩევნო კანონმდებლობაზეა მიბმული. ამჟამად საქართველოში ძალიან ცუდი საარჩევნო კანონი მოქმედებს: ხელისუფლებას არჩევნებზე ხმების მცირე რაოდენობის მიღების შემთხვევაშიც კი პარლამენტში მანდატების უმრავლესობის მოპოვება შეუძლია, რაც ნამდვილად დიდი პრობლემაა. ეს კი იმის შედეგია, რომ საპარლამენტო ოპოზიციას სულ უფრო ნაკლებად ეკითხებიან რამეს: უმრავლესობას მათი თანხმობისა თუ პროტესტის მიუხედავად, მაინც გააქვს თავისი ინიციატივები.

— „ოპოზიციური რვიანი“ სწორედ ხელისუფლების მიერ შეთავაზებული წინადადების გამო გაიხლიჩა, დარჩენილები კი ერთიანი ბლოკის შექმნაზე იწყებენ მსჯელობას...

— ადამიანებს გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიციები აქვთ, თუმცა ნამდვილად არ მომეწონა ის განცხადებები, რაც გაკეთდა: „ერიტიან-დემოკრატმა“ გიორგი თარგამაძემ და „ახალმა მემარჯვენე“ დავით გამყრელიძემ აქ დარჩენას და ამ საკითხების ადგილზე გარჩევას აშშ-ში გაფრენა არჩიეს და ვფიქრობ, რომ ეს მათგან არც ისე მამაცი საქციელი იყო. ის შეთავაზება კი, რაც ხელისუფლებამ გააკეთა, შეთავაზებაა არ ყოფილა — ეს უფრო ცინიკური წინადადება იყო. შესაცვლელია საარჩევნო ბარიერი 30%-დან 50%-მდე. 2010 წლის ადგილობრივ არჩევნებამდე ბარიერი 50%-დან 30%-მდე ჩამოიწია. ამ ნაბიჯმა ხელისუფლების მიერ დაფინანსებულ კანდიდატებს საშუალება მისცა, ხმების 30%-ზე მეტის დაგროვებით გასულიყვნენ და არა — მოსახლეობის ნახევრის მხარდაჭერით. თუ მათ 50 %-იანი ბარიერის გადალახვა მოუწევთ, ისინი მეტს იმუშავებენ საარჩევნო კამპანიაზე და პლენარულ სხდომებსაც დაესწრებიან.

— იმავე წერილში წერთ — ქართული პოლიტიკის მთავარი პრობლემა ის არის, რომ მმართველ გუნდს არ შესწევს უნარი, იმუშაოს ოპოზიციასთან...

— არა მარტო არ შესწევს უნარი, არამედ არც სჭირდება. უმრავლესობა ისე ცვლის კონსტიტუციას, კანონებს, ილებს ახალ წინადადებებს და ამტკიცებს ინიციატივებს, რომ ოპოზიციას არაფერს ეკითხება — ამის საჭიროებას ვერ ხედავს. დიდი ხნის განმავლობაში ასეთ მდგომარეობაში ყოფნამ უმრავლესობა გააზარმაცა, ის შეცდომას შეცდომაზე უშვებს. მაშინ, როცა ოპოზიცია ხმას იღებს ამა თუ იმ კანონპროექტზე და აკრიტიკებს ხელისუფლებას (ვსაუბრობ არა გადარეულ და სულელ ოპოზიციონერებზე, არამედ მათზე, ვინც პოლიტიკურ პროცესებში რეალურად არიან ჩართულები), მმართველი გუნდის წევრები გამოდიან და ამბობენ: რა უნდა ოპოზიციას, ხომ ხედავთ, კორუფცია არ არის, სხვადასხვა ქვეყანასთან ვაჭრობა შეგვიძლია... მე ეს რიტორიკა არ მესმის — პრობლემებზე ღიად საუბარი, დებატები, კომპრომისები არის სწორედ კორუფციის დაუშვებლობის პრევენცია...

ხელისუფლებისთვის ხელსაყრელია გარკვეული ტიპის ოპოზიციის არსებობა ქვეყანაში. შეხედეთ „რუსთავი-2“-ს და სხვა სატელევიზიო მედიას, თუ რამდენ დროს ხარჯავენ გურჯანაძეზე, კიწმარიშვილზე, სუბარზე, ოქრუაშვილზე. ვფიქრობ, რომ ესენი პოლიტიკურად მნიშვნელოვანი ფიგურები არ არიან: ხალხი მათ მხარს არ უჭერს, არ აქვთ საკმარისი და რეალური ძალა... ახლა შეხედეთ იმ პარტიებსაც, რომლებიც ხელისუფლებასთან ახლოს არიან — მათზეც ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი მედია დიდ დროს ხარჯავს. იმ პოლიტიკურ პარტიებზე კი, რომლებიც პოლიტიკურ პროცესებში მართლა მონაწილეობენ და საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლაზე მსჯელობენ, ყველაზე ნაკლები საეთერო დრო გამოყოფილი... ასე რომ, ხელისუფლებას ხელს აძლევს, ხალხმა არა რეალურ ოპოზიციას, არამედ სულელ ან მასთან დაახლოებულ პოლიტიკურ პარტიებს მიაქციოს ყურადღება. რაც შეეხება ერთიანი ბლოკის შექმნას, არ ვიცი, რას და როგორ აპირებენ, უბრალოდ ის ვიცი, რომ ადამიანს ყოველთვის უადვილდება ერთი კონკრეტული პოლიტიკური ლიდერის მხარდაჭერა, ბლოკის შემთხვევაში კი რამდენიმე პოლიტიკური ლიდერის მხარდაჭერა მოუწევს, ისედაც, ბლოკის პრინციპზე შექმნილი გაერთიანება ცოტაზე მეტად თავისებური და რთული შესანარჩუნებელია. პარტიის ლიდერებს უყვართ ამის თქმა: ბლოკს ვქმნით და შემოვიერთდითო. იქ, სადაც 3, 4, 5, 6 ლიდერია, სიტუაცია აშკარად განსხვავებულია.

— 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით რას ფიქრობთ?

— რა თქმა უნდა, არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ იმ 26 მაისის ღამის ამბებმა საქართველო გელორუსისა და სხვა ასეთი ტიპის სახელმწიფოს დონემდე დაწია. პარლამენტის წინ შეკრებილი დემონსტრანტების სურვილი იყო, პოლიცია და სპეცრაზმი მათ თავს დასხმოდა. ხელისუფლებაზე ჭკვიანები უნდა ყოფილიყვნენ და მათ იქ დატრიალებული მოვლენები არ უნდა გამოეწვიათ, თუმცა აღმოჩნდა, რომ სწორედ ეს უნდოდათ. შეცდომა ორივე მხარემ დაუშვა. ბურჯანაძისა და მისი ხალხის „გოლი“ ის აღმოჩნდა, რომ 26 მაისის ღამის ფოტო და ვიდეო კადრებმა მთელი მსოფლიო მოიარა და ერთ დღესაც საქართველო გელორუსის, ტუნისის, სირიის ტიპის ქვეყნების ბლოკში აღმოჩნდა „სი-ენ-ენ“-ზე, „ბი-ბი-სი“-ზე. თუმცა მე ვფიქრობ, რომ 26 მაისის მოვლენები იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რამდენადაც საარჩევნო გარემოზე ფიქრი და დისკუსია. შეიძლება, ახლა ეს ხალხის უმეტეს ნაწილს არ ადარდებს, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს მილებულ გადაწყვეტილებებზე იქნება დამოკიდებული შემდგომი არჩევნებისა და, შესაბამისად, ქვეყნის ბედი. ამიტომაც არის, რომ პოლიტიკურ პარტიებს და მედიას აქვთ განსაკუთრებული შესაძლებლობა, ხალხს უთხრან, თუ რა არის მთავარი, რა იქონიებს გადამწყვეტ გავლენას მომავლის მოვლენებზე. ნუ გეგონებათ, რომ ხალხი მხოლოდ საქართველოშია გულგრილი საარჩევნო თემატიკის განსახილველად — აშშ-ში მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცის, ვინ, რამდენი, სად და როდის დახარჯა საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად. იქ სხვა რიგის პრობლემებიც დგას, შესაბამისად, ამ საკითხებზე ყურადღების მიქცევის ბერკეტები პოლიტიკურ პარტიებს და მედიას უჭირავთ ხელში.

მალხაზ ჭკადუა

◎ გლოგუსი

რასაც სხვები საუკუნეების განმავლობაში არ ეგუებიან, ჩვენ სამ წელიწადში შევეგუეთ

საქართველოს დაკარგული ტერიტორიების თემა კარგა ხნის განმავლობაში დარჩება მწვავე განსჯის საგანი, შემდეგ ვითარება შეიცვლება ნაცადი პრაქტიკიდან გამომდინარე — დრო კურნავს ტკივილს. მომავალი თაობები, თუკი საერთოდ გადარჩა საქართველო, ისეთი „აქტიურობით“ გაიხსენებენ დაკარგულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, როგორც მეზობელი თურქეთის მიერ მიტაცებულ ტერიტორიებს.

თუმცა არსებობს სხვა მოსაზრება, რომლის მიხედვით დრო კი არ იქნება მკურნალი, არამედ თვითსაქართველო განიკურნავს თავს დაკარგულის დიპლომატიური აღიარებით. მართალია ამ „გენიალურ“ მიგნებას ჯერ-ჯერობით საქართველოს ტერიტორიების გამფანტავი შევარდნაძის გარდა არავინ იზიარებს, ვგონებ ჯერჯერობით. გავლის დრო, გაცილებით ცოტა, ვიდრე ჩვენ გვგონია, და ამ შემოგდებულ იდეას არაერთი მხარდამჭერი გამოუჩნდება.

„მე მგონი უჭკუო წინადადება არ არის. თუ დევნილები დაბრუნდებიან და რუსის ჯარი გავა, მეტი რა გინდა, დავსხდებით აფხაზებთან და ვილაპარაკებთ მესამე მხარის ჩარევის გარეშე“ — ამბობს ედუარდ შევარდნაძე გაზეთ „ასავალ-დასავალის“ წინა ნომერში.

აფხაზებთან დასასხდომად და სალაპარაკოდ, როგორც ჩანს მაზოხისტური პოლიტიკის გატარება იყო საჭირო. სისხლის დენისა და ხოცვა-ჟლეტის გარეშე მოლაპარაკება წარმოუდგენელი ყოფილა. საქართველოს ყოფილი მეთაური ისე იოლად ლაპარაკობს დაკარგულთან დაკავშირებით, თითქოს სხვა ქვეყნის მოქალაქე ყოფილიყოს და არა ტერიტორიების დაკარგვის მთავარი ინიციატორი. მან არათუ ყური დაუგდო აფხაზთა ლიდერის არძინბას თხოვნას საქართველოს პოლიტიკურ მოწყობასთან დაკავშირებით დასხდომისა და მოლაპარაკების თაობაზე, არამედ სამხედრო ლაშქარით შეავარდა საკუთარი ქვეყნის ნაწილში, თბილისის უცილობელი კონტროლის დასამყარებლად.არც მას და არც მის ირგვლივ მყოფ პოლიტიკოსებს, საზოგადო მოღვაწეებს წამითაც არ გასჩენიათ ეჭვი, რომ ყველა მათგანს აფხაზთა მორჯულების წყურვილი კლავდა და არა მათთან კონფედერაცია — ფედერაციის ჩამოყალიბება.

დღესაც კი, მაშინდელნი სიამაყით იხსენებენ ქმათამკვლელ ომში საკუთარ მონაწილეობას და

არა მარტო ამას, არამედ დსთ-ში არ შესვლას. მაინც რა არაშორსმჭვრეტელი გამოდგა ქართული პოლიტიკური ელიტა. ომში დამარცხებამაც კი მას ჭკუა ვერ ასწავლა, ვერ დაანახა, რომ დამოუკიდებლობა, ჯაბასი არ იყოს, „ლობიოს ჭამა არ არის“, რომ მას ქარაფშუტული, მარიაჟული“ იარაღის შესხმა აფხაზთა „გასანადგურებლად“ ვერ უშველიდა. ომში არმია იბრძვის, ნაკლებად, სახალხო ლაშქარი — მოხალისეთა სახით, ან უკიდურეს შემთხვევაში სათანადო წვრთნის გავლის

 # რასაც სხვები საუკუნეების განმავლობაში არ ეგუებიან, ჩვენ სამ წელიწადში შევეგუეთ

შემდეგ. იარაღასხმული მოხელეების მთავარი მიზანი არა ომი, არამედ შევარდნაძის მოსახიბლი კუნტრუში იყო. გაუწვრთნელი მოხალისეებისა და ასევე გაუწვრთნელ-გამოუცდელი „არმიის“ მიერ წარმოებული ომი გამანადგურებელი კრახით დამთავრდა. თვით დამარცხებულმა მთავარსარდალმა რუსების დახმარებით ძლივს გამოასწრო ფრონტის ხაზიდან. მხოლოდ სასტიკი დამარცხების შემდეგ გადაწყვიტა საქართველომ დსთ-ში შესვლა. თუ რა აზრი ჰქონდა დაგვიანებულ გადაწყვეტილებას, ვგონებ ვერც შევარდნაძე და ვერც მისი ხელისუფლება ვერ ახსნის. **მაშინაც და შემდგომ წლებში, შევარდნაძის სამარცხვინო გაძევებამდე, მის გუნდში არ აღმოჩნდა ოდნავი პრაგმატული, რაც მთავარია, დროისათვის შესაფერი მოაზროვნე ადამიანი, ვისაც ძალუძდა ერჩია მისთვის განდეგილებთან და რუსებთან საგნობრივი, სერიოზული მოლაპარაკების წარმოება. თვით შევარდნაძე მონუსხული (შესაძლოა, შიშით) ყურს უგდებდა ქარაფშუტა პარლამენტართა ომახიან განცხადებებს — არავითარი ფედერაცია, მით უმეტეს კონფედერაცია აფხაზეთთან. მკაცრ უნიტარიზმზე აღზრდილნი ივიწყებდნენ,** რომ დსთ არ იყო საბჭოთა კავშირი, მით უმეტეს კრემლი არ იყო ის, ვისაც შეეძლო საქართველოსთვის დაკარგულის დაბრუნება. ასეთი შესაძლოა მომხდარიყო მხოლოდ უშუალო მოლაპარაკებით და რაღაცის დათმობით და არა დღევანდელივით, მათი დამოუკიდებლობის აღიარებით.

ნაცვლად მოლაპარაკებისა საქართველომ აირჩია, ცხადია, ამერიკელთა წაქეზებით, კონფრონტაციული გზა, როგორც რუსეთთან, ისე განდეგილებთან. ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა საკაშვილის ხელისუფლების პირობებში. ახალი პრეზიდენტის სურვილს — დაკარგულის ძალით დაბრუნების თაობაზე, ფრთები შეასხა აჭარაზე განხორციელებულმა მარშმა და ამ ავტონომიის

უსისხლო „დაბრუნებამ“ საქართველოს შემადგენლობაში. „დაბრუნების“ სააკაშვილისეულ ვერსიას საშური შეუჯოვროობით იცავდნენ „ახალი მემარჯვენეები“, სხვა ცნობილი პარტიები, დაიმედებულნი იმავე გზით აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის დაბრუნებაში. პირველივე ასეთი მცდელობა ქართველ ფორმიანთა დაჩოქებით დამთავრდა. რის შემდეგ კიდევ უფრო ინტენსიური გახდა საქართველოს ხელისუფალთა ანტირუსული განცხადებები. ახალი ძალით ამოტივტივდა შევარდნაძის დროინდელი განცხადება, რომ საქართველომ ომი მცირერიცხოვან აფხაზებთან კი არ წააგო, არამედ დიდ რუსეთთან, რომ აფხაზეთში, საქართველოს რუსეთის არმია ებრძოდა. ძველს ახალი ვერსიაც დაემატა — რომ არა რუსეთის სამხედრო მხარდაჭერა, ცხინვალში ქართველთა დაჩოქებას ადგილი არ ეძნებოდაო.

სააკაშვილის ხელისუფლებამ ძალისმიერი გზა აირჩია და იმ უღიმღამო ქართულ-აფხაზურ დიალოგზეც უარი თქვა, რასაც ეპიზოდურად ჰქონდა ადგილი. 2004-დან 2008 წლის აგვისტომდე თუ რამე იყო დასამახსოვრებელი იყო არაერთი ანტირუსული ავანტიურა, რაც თავისთავად ათქმევინებს ოპოზიციონერ პოლიტიკოს სალომე ზურაბიშვილს — ბომბებს თვით საქართველოს ხელისუფლება ყრის საკუთარ ტერიტორიაზე რუსეთის დასადანაშაულებლადო.

დაძაბულობის მეოთხე წლისთავზე ანუ 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილმა და მისმა ერთოგ ვიწრო გარემოცვამ გადადგა საბედისწერო ნაბიჯი, რითაც 1992 წელს მიღებული ფაქტიური დანაკარგი იურიდიულად გადააქცია. ისე, როგორც 1992 წელს, შევარდნაძის გარემოცვაში არ აღმოჩნდა ოდნავ მოაზროვნე ადამიანი წინ აღდგომოდა თვითმკვლელობის სადარ მოქმედებას, არც სააკაშვილის განაკში აღმოჩნდა ასეთი. პირიქით უხვად იყო „პატრიოტული“ ჯიღის ცემა, როსტოვამდე ტანკებით ჩაგრიალების გეგმაც. შედეგი — სავალალო, **თუმცა მაშინაც კი სრულიად შემთხვევით გაჩნდა სინათლე გვირაბის ბოლოს და აქაც ისე, როგორც დამოუკიდებლობის ოცი წლის მანძილზე თავი იჩინა უვიცობამ, უაზრო ამბიციებმა, არაშორსმჭვრეტელობამ, თავქარიანობამ. საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი იმჟამინდელი ევროკავშირის პრეზიდენტი ქვეყნის ხელმძღვანელის ძალისხმევა, საფრანგეთის პრეზიდენტის სარკოზის სახით. მან არათუ შეაჩერა რუსული ტანკების მარში თბილისზე, არამედ ყველაფერი გააკეთა საქართველოსთვის სასარგებლო ხელშეკრულების გასაფორმებლად. ყველაფერთან ერთად დოკუმენტში შავით თეთრზე ეწერა წინადადება, ანუ მოწოდება ქართული მხარისთვის სეპარატისტულ რეგიონებთან პოლიტიკური სტატუსის განმსაზღვრავი მოლაპარაკების დაწყების თაობაზე. ეს ჩანაწერი საფრანგეთისა და რუსეთის პრეზიდენტების ხელმოწერებით გამაგრებული, სავალდებულო იყო არა მარტო საქართველოსთვის, არამედ ყოფილი ავტონომიებისა და რუსეთისთვისაც. ის იძლეოდა პირდაპირი დიალოგის დაწყების შესაძლებლობას და მის ხანგრძლივი პერიოდით წარმართვას, რაც ჩვეულებრივად ითვლება დიპლომატიაში. გარდა ამისა თავს გვარიდებდა რუსეთის მიერ სეპარატისტთა დამოუკიდებლობის აღიარებას. სააკაშვილმა, ნაცვლად შემოთავაზებული წინადადებისა გააკეთა ის, რასაც არც ერთი ქვეყნის პრეზიდენტი არ გააკეთებდა — მან სარკოზის წინ დემონსტრაციულად გადაშალა ხელგაშლილად შემოთავაზებული წინადადება და მასთან ერთად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნის აშკარა შესაძლებლობა. დღეს ძნელია გამოიცნო რა ხდებოდა მაშინ შეშინებული სააკაშვილის თავში. დარწმუნებული ვარ, ვერც თვითონ გასცემს ამ კითხვას ობიექტურ პასუხს. მხოლოდ ვარაუდით შეიძლება ვილაპარაკოთ, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ დამარცხებულ მხედართმთავარს სტატუსის დამდგენი მოლაპარაკების დაწყების უზომოდ შეეშინდა, რასაც მოაყოლა ფსევდოპატრიოტული ამოშლა. მეორე დღესვე ლავროვი იტყვის — საქართველოს უარმა დაგვარწმუნა, რომ დამოუკიდებელ, თანაც რუსეთის პროტექტორატქვეშ მყოფ ქვეყნებზე სააკაშვილი ვეღარ გაილაშქრებდა.**

თითქმის, სამი წელი გავიდა მას შემდეგ. ბედოვლათი ხელისუფლება და საზოგადოება შეეგუა ტერიტორიების დაკარგვას. ეპიზოდური „პატრიოტული“ განცხადებები საქმეს ვერ შველის და როდესაც ასეთი ვითარება შექმნა ხელისუფლებამ, მისმა მრჩეველმა დასავლეთმა სხვა გზა მოძებნა — სეპარატისტთა დამოუკიდებლობის აღიარება.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ სარედაქციო ფოსტიდან

აკი დემოკრატიის შუქურა ქვეყანა ვართო?!

თუმცა ვიცი, რომ არც პრეზიდენტი და არც საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ამ დაგვიანებულ კითხვაზე არ მიპასუხებენ...

დაგვიანებულზე-მეთქი, განა იმიტომ ვამბობ, რომ თბილისიდან შორს ვცხოვრობ და გამიჭირდა თქვენთვის ხმის მოწვდენა. დამიგვიანდა იმიტომ, რომ გუშინღა წავიკითხე დისწულის მიერ ჩამოტანილი „კვირის პალიტრის“ 6-12 ივნისის ნომერი (აბა, გლეხებს, ჩვენი ხელისუფლების მტკიცების მიუხედავად — ხალხს ლამის სამოთხეში ვაცხოვრებთო — გაზეთის საყიდელი ფული ვინ მოგვაშავა, როცა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, პურის ფული გვიჭირს?).

წავიკითხე და, მაშინვე თვალში მეცა ჩვენი პრეზიდენტის „აღიარებითი ჩვენება“, იტალიის გაერთიანების 150 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტთან ჯოზეფ ბაიდენთან შეხვედრისას რომ უთქვამს თუ წამოცდენია.

მაშინვე გამიჩნდა ეს კითხვაც, რომელსაც ჩემს დისწულსვე ვატან თქვენთან და, თუ დამიგეჭდავთ, მადლობელი დაგრჩებით.

„სახელმწიფოს აწი ერთი კაცი ან ადამიანთა პატარა ჯგუფი აღარასოდეს უხელმძღვანელებს“.

პატივცემულო რედაქცია, თუმცა ვიცი, რომ არც პრეზიდენტი და არც საპარლამენტო უმრავლესობის წევრები არ მიპასუხებენ, მაინც ვსვამ ამ კითხვას: **დემოკრატია ხომ ხალხის მმართველობას ნიშნავს, ხოლო „ერთი კაცი“** და, თუნდაც, **„ადამიანთა პატარა ჯგუფი“:** ხალხი რომ არ არის?

თანაც „აწი აღარასოდეს უხელმძღვანელებსო!“

ანუო, დღემდე ასე იყო.

მაშ, რად ამტკიცებდით, „გუშინ“, ანუ „აწის“ დადგომამდე, დემოკრატიის შუქურა ქვეყანა ვართო?!

იქნებ გვიპასუხოთ?

ვახტანგ ნატროშვილი.
სიღნაღი

◎ ჟურნალისტური გამოძიება

აქამდე დენი „გვირტყამდა“, ახლა, ჩანს, ნაგავიც „დაგვარტყამს“...

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სახელისუფლებო გუნდი 2004 წლიდან განაგრძობს ქვეყანაში დაწყებულ საქართველოს მოსახლეობის გაღატაკების პროცესს. შედეგად, განვლილი დროის განმავლობაში მატულობს ემიგრაციის, სილატაკის, სიკვდილიანობის მაჩვენებელი და პატიმართა რაოდენობა.

ამჟამად არნახული „ფანტაზიის“ შედეგად სააკაშვილის სახელისუფლებო გუნდმა მიიღო მორიგი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ კომუნალური მომსახურების სფეროში არსებობს უნიკალური, აუცილებელი და პროპორციული კავშირი ყოველთვიური მოხმარებული ელექტროენერგიისა და დასუფთავების მომსახურების ღირებულებებს შორის.

მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე კომუნალური მომსახურების სფეროში ადგილი აქვს მსოფლიოში დღემდე არნახულ „ნოვატორულ“ მოქმედებას – ყოველ მოხმარებულ კილოვატსაათზე მომხმარებელი ვალდებულია დამატებით გადაიხადოს ხუთი თეთრი.

სინამდვილეში რა იმალება ამ გადაწყვეტილების უკან, რა მიზანი აქვს დასახულ ხელისუფლებას.

კომუნალური მომსახურების ერთ-ერთი მიმართულება – დასუფთავების სამსახურის ფუნქცია და ამავე საქმიანობით განსაზღვრული ღირებულების ამოღება მომხმარებლებისგან არ აკისრია სს „თელასს“, არც მისი დებულებიდან გამომდინარე და არც იმ ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მიხედვით „რაო ეეს როსიი“ გახდა სს „თელასის“ აქციების 75 პროცენტის მფლობელი.

სს „თელასისა“ და დასუფთავების სამსახურის დაკავშირება გადასახადის გაერთიანებით სამართლებრივად ვერ შედგება, რადგან სს „თელასს“ არანაირი კანონიერი უფლება არა აქვს, რომ მან ერთდროულად შეასრულოს როგორც ენერგოგამანაწილებელი და სადისტრიბუციო ორგანიზაციის ფუნქცია, ასევე დასუფთავების სამსახურის მხრიდან გაწეული მომსახურების საფასურის ამოღება და, პირიქით, დასუფთავების სამსახურს არანაირი კანონიერი უფლება არ აქვს დასუფთავების კუთხით გაწეული სამუშაოს ღირებულება დაუკავშიროს სს „თელასის“ აბონენტის მიერ დახარჯულ ელექტროენერგიის ოდენობას.

სწორედ ამიტომ სს „თელასის“ მოხმარებული ელექტროენერგიის და დასუფთავების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების გადასახადების გაერთიანება სამართლებრივად დაუშვებელია კიდევ იმიტომ, რომ ადგილი აქვს „სემეკის“ შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე არსებული ენერგოტარიფის დაუსაბუთებულ მომატებას და დასუფთავების მომსახურების არსებული გადასახადის დაუსაბუთებელ ზრდას.

ხელისუფლება ცინიკურად აცხადებს, რომ საგადასახადო ნოვაცია გათვლილია საქართველოს მოსახლეობის სოციალურად შეჭირვებულ ფენაზე.

ჩნდება ლოგიკური და სამართლიანი კითხვა, – რას ეყრდნობა ხელისუფლება, როცა მიღებული გადაწყვეტილების შედეგად ერთდროულად ახდენს, როგორც ენერგოტარიფის და ასევე დასუფთავების გადასახადის გაძვირებას?

ხელისუფლებას ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისას არ აქვს დამაჯერებელი და დასაბუთებული ფინანსური გათვლები და იურიდიული დასაბუთება.

ეს გადაწყვეტილება მსოფლიოს პრაქტიკაში პირველია... საკამათო არ უნდა იყოს, რომ თუ ელექტროენერგია ამგვარად გაძვირდება, ის გამოიწვევს ქვეყნის სავაჭრო ძსელში არსებული ამა თუ იმ საქონლის (კვების პროდუქტები, სამრეწველო საქონელი, ფარმაპრეპარატები, საწვავი და სხვაძ საბითუმო და საცალო ფასების მომატებას, რაც თავის მხრივ გაზრდის ფასებს სამედიცინო მომსახურებაზე და გამოიწვევს მორიგ საინფლაციო პროცესებს, რაც გაალრმავებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ნგრევის პროცესს...

სააკაშვილი და ნაციონალთა სახელიუფლებო გუნდი ჩვენი სააგენტოს მიერ მხილებულნი არიან მორიგ სიცრუეში – თითქოს, ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ და ილვწიან იმისათვის, რომ საქართველო აასყვავონ, სინამდვილეში, თუ განვიხილავთ 2004-2011 წ.წ. ხელისუფლების მიერ მიღებულ კანონებს, ნორმატიულ აქტებს, ვრწმუნდებით, რომ ამ გუნდის ერთ-ერთი მიზანი ჩვენი ეროვნული სახელმწიფოებრივი დაშლაა.

ჩვენი სააგენტოს მიერ გამოძიებული და გამოვლენილი უდავო ხასიათის ფაქტები ადასტურებენ, რომ მ.სააკაშვილის ხელისუფლება სარგებლობს ე.წ. დასავლეთის „მეგობრების“ რჩევებით და დაცვით, და აღნიშნულზე დაყრდნობით ახორციელებს ქართველი ერის და მოსახლეობის ფაქტობრივ გენოციდს.

სწორედ ამიტომ ჩვენი სააგენტო ისევ მიმართავს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და უწმინდეს და უნეტარეს საქართველოს პატრიარქს ილია მეორეს.

– ერთადერთი ძალა, რომელიც საქართველოს გადაარჩენს მიხეილ სააკაშვილის ანტიქართულ სახელისუფლებო მმართველობისგან, არის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც მრავალი საუკუნეების განმავლობაში თავისი ლოცვა-კურთხევით და ბრძნული მოქმედებით იცავდა ერს და მოსახლეობას, აძლევდა რწმენას და საჭირო ძალას ერის და მოსახლეობის გამთლიანებისთვის, რათა ქვეყანა ფეხზე დამდგარიყო, გაძლიერებულიყო და ეარსება როგორც ერთიან საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოს.

თენგიზ ჩხიკვაძე,
ჟურნალისტური
გამოძიების სააგენტო
„დრო და სივრცე“

◎ ინფორმაცია

კახეთში ყურძენი „ჭრაქმა“ გაანადგურა

კახეთში ვენახებს ჭრაქი გაუჩნდა და ყურძნის მოსავალს ანადგურებს. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს სოფელ ვაზისუბანში მცხოვრებმა მევენახეებმა აცნობეს, მოსავლის 40% უკვე განადგურებულია.

– ვენახს ხშირად ვწამლი, მაგრამ ჭრაქი მაინც გაუჩნდა. ადრე თუ ერთი წამლობა 70 ლარი მიჯდებოდა, ახლა 150 ლარი მჭირდება, მაგრამ მარცვალი აღარ იზრდება, – აღნიშნა ალექსანდრე სოლომონიშვილმა.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის სოფლის მეურნეობის დარგში ვალერი გორგიშელის თქმით, დაავადების გავრცელება არასწორი აგროტექნიკური ღონისძიებების ბრალია.

– მევენახეებს თავიდანვე სპილენძიანი ფუნგიციდები უნდა გამოეყენებინათ, ადრევე რომ მოემართათ ჩვენთვის, აუცილებლად დავაკვალიანებდით, განაცხადა ვალერი გორგიშელმა.

გარუჯვა დამწვრობით დასრულდა

19 წლის გოგონას მიერ გარუჯვის მცდელობა დამწვრობით დასრულდა. მან კანის ფერის შეცვლის დაჩქარებისთვის მზის აბაზანის მიღების დროს ლეღვის ფოთლის საფენები გამოიყენა. გოგონას მეორე ხარისხის დამწვრობა აქვს მიღებული და სხეული 15 % აქვს დამწვარი. როგორც ცნობილია, მან გარუჯვიდან მეორე დღეს თავი შეუძლოდ იგრძნო და ხელ-ფეხი დაუსივდა, რის შემდეგადაც გადაწყდა მისი დამწვრობის ცენტრში გადაყვანა.

დამწვრობის ცენტრში ამ დროისთვის სამი პაციენტია ისეთი, რომელმაც დამწვრობა გარუჯვის დროს მიიღო. ექიმების განცხადებით, ხშირია შემთხვევები როდესაც მზის აბაზანების გამო პაციენტებს სხეულის ნახევარზე მეტი აქვთ დამწვარი.

ХИ-ЕИВ-ЕНИ

◎ ღვაწლი

როცა მეცნიერი პოეზიის ტრფიალია

აკადემიკოს ომარ ქეშელაშვილის ცხოვრების დიდი გზა

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი 70 წლისა გახდა. მან კარგა ხანია მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ და თვალსაჩინო მეცნიერთა შორის და დიდი ავტორიტეტიც მოიპოვა.

1970-იანი წლებიდან ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობს აგრარული პროფილის სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებში. 1991-2011 წლებში იყო საქართველოს ბიზნესის უნივერსიტეტის რექტორი.

აკადემიკოსმა ომარ ქეშელაშვილმა თავისი გამოკვლევებით ახალი მიმართულებები შექმნა ქართულ აგრარულ-ეკონომიკურ მეცნიერებაში. პირველმა დაამუშავა საგანგებო, საკმაოდ სპეციფიკური მეთოდიკა და კომპიუტერული პროგრამა და მასზე დაყრდნობით მოგვცა საქართველოს სოფლის მეურნეობაში ძიმიური საშუალებების გამოყენების ეკო-ნომიკური შეფასება და მცენარეთა მავნე ორგანიზმებთან ბრძოლის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები.

გატონ ომარს დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონალური სქემის შედგენაში. იგი ამ გამოკვლევებს 1970-იანი წლებიდან პროფესორ პ.ულენტთან ერთად ხელმძღვანელობდა. მისი თავკაცობით ჩატარებული ახალი გამოკვლევების საფუძველზე, 2009 წელს შედგა განახლებული ზონალური სქემა, რომელიც საფუძვლად უდევს სოფლის მეურნეობის ხაზით გაშლილ მთელ სამეცნიერო-კვლევითს და სადისერტაციო საქმიანობას.

1970-იანი წლებიდან მოყოლებული, 10-15 წლის მანძილზე, მისი ხელმძღვანელობითა და საერთო კოორდინაციით შესრულდა დიდი მეცნიერულ-გამოყენებითი ხასიათის სამუშაოები – 15 რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამები, რომლებიც ფართოდ დაინერგა წარმოებაში.

1990-იანი წლებიდან, საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების კვალობაზე, აკად. ო.ქეშელაშვილის მეცნიერულმა მოღვაწეობამ ახალი მიმართულებები შეიძინა. შექმნა ორიგინალური სახელმძღვანელოები: „ბიზნესის ორგანიზაცია“, „ვინ იცის ეკონომიკა?“ (2004 წ.ძ„ ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტი“(2005წძ, „სამართალმცოდნეობა ყველასათვის“(2001წძ. 2005 წელს გამოსცა ორიგინალური მონოგრაფია „ინტელექტუალური საუბრები“, რომელმაც დიდი აღიარება და მოწონება დაიმსახურა. ეს წიგნი მის დიდ და ღრმა პოტენციალსა და ერუდიციაზე მეტყველებს.

ამავე პერიოდში, საქართველოში პირველად გამოიცა მისი ორიგინალური, ახლებური ხედვის ნაშრომები: ვერბალური მართვა; ცოდნის ეკონომიკა; საქართველო მსოფლიო გლობალიზაციის წრედში; სამართალდაცვის მენეჯმენტი, საბაზრო ეკონომიკა და სამეურნეო რისკი, ახლებური თეორიული მიდგომები და ფორმულირებები ეკონომიკასა და ბიზნესზე და სხვ. მისი ნაშრომით – „ვერბალური მართვა“ – იგი პირველად გამოიყო ახალ მეცნიერულ მიმართულებად და შემოღებულია ახლებური პოზიციები და მიდგომები: ვერბალური ანუ მოლაპარაკე; სიტყვიერი და ციფრული (კომპიუ-ტერულიძ აზროვნება და სხვა.

აკადემიკოსმა ომარ ქეშელაშვილმა საფუძელი ჩაუყარა სოფლის მეურნეობაში სამეურნეო რისკის მართვის პრობლემების კვლევას და პირველმა დაადგინა რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების ოპტიმალური დონეები ფერმერული მეურნეობებისათვის. ეს სამუშაოები შესრულდა მისივე ხელმძღვანელობით დამუშავებული სახელმწიფო საგრანტო პროექტის ჩარჩოებში. 2009 წელს გამოსცა ფუნდამენტური ნაშრომი „რისკის მართვა ფერმერულ მეურნეობებში“.

2010 წელს გამოსცა კაპიტალური ნაშრომი-მომავლის სახელმძღვანელო „ბიზნესური ეკონომიკა“, 55,8 ნაბეჭდი თაბახის მოცულობით, რასაც დიდი მოწონება ხვდა წილად.

აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა საგანმანათლებლო სფეროში, 1980-იანი წლებიდან, წლების მანძილზე კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში.

დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა კადრის აღზრდას. აღზრდილი ჰყავს 31 ასპირანტი და მაძიებელი.

აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი თვალსაჩინო, დიდად ავტორიტეტული, აღიარებული მეცნიერი და სასახელო პიროვნებაა. მის კომპეტენტურ სიტყვას აფასებენ და ანგარიშს უწევენ. მისი ღვაწლის დიდი აღიარება იყო ის, რომ 1999 წელს, აგრარული მეცნიერების განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილის, ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

აკად. ო.ქეშელაშვილი
აკად. ო.ქეშელაშვილი უაღრესად ნაყოფიერი და პროდუქტიული მეცნიერია. გამოქვეყნებული აქვს 515 სამეცნიერო ნაშრომი, აქედან 33 მონოგრაფია, 7 სახელმძღვანელო, 27 ბროშურა და ცალკე გამოცემა, 31 ნაშრომი გამოცემულია საზღვარგარეთ, გამოქვეყნებული აქვს 265 საგაზეთო, მეცნიერულ-პუბლიცისტური სტატია. მისი რედაქტორობით გამოცემულია 100-მდე წიგნი.

ცალკე უნდა ითქვას მისი ფოტოგრაფიით, ფერწერული და პოეტური გატაცებებების შესახებ. გამოცემული აქვს ლექსების ოთხი კრებული.

ადვილად და კარგად, თითქოსდა ახალგაზრული შემართებით ულებს ალღოს ახალს, თანამედროვესა და პროგრესულს და იცავს მათ. მისი აზროვნებაც, მთლიანად, მომავალზეა ორიენტირებული.

ვულოცავთ გატონ ომარს 70 წლის საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ, კვლავ ასე სასახელოდ ევლოს მეცნიერების დიდ გზაზე.

შოთა ჭალაგანიძე,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი;

გურამ ალექსიძე,
გივი ჯაფარიძე,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის ვიცე-პრეზიდენტები,
აკადემიკოსები;

ჯემალ მახარაძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ქართული პოლიცია ბიძასთვის მოვიდა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოპოზიციური ქართული პარტიის მთავარ ოფისში ჩხრეკა მოაწყო. ამ პარტიის ლიდერს, ყოფილ თავდაცვის მინისტრს ირაკლი ოძრუაშვილს ხელისუფლება ბრალს სდებს უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნაში. საქართველოს სპეცსამსახურები ამტკიცებენ, რომ დაპატიმრებას გადარჩენილი ექსმინისტრის თანამებრძოლები, კერძოდ, მისი ბიძა, შეიძლება იმალებოდეს პარტიის ოფისში. ეს ოპოზიციური პარტიის შტაბ-ბინაში ჩხრეკის პირველი შემთხვევაა საქართველოს დამოუკიდებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონსტიტუციო უშიშროების დეპარტამენტის 120 თანამშრომელი შეიჭრა ქართული პარტიის შენობაში ორშაბათს გვიან ღამით. „უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები მუდმივად იმყოფებოდნენ შენობასთან და ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს იმას, თუ რა ხდებოდა შიგნით, – გვითხრა ქართული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა სოფიკო ხორგუანმა. – ისინი შემოიჭრნენ ჩვენს ოფისში მხოლოდ მას შემდეგ, რაც პარტიის ყველა ლიდერმა დატოვა შენობა და იქ იმყოფებოდნენ მხოლოდ პრესსამსახურის თანამშრომლები, აგრეთვე ახალგაზრდული ორგანიზაციები“.

როდესაც მომხდარის შესახებ გაიგო, ოფისში პირველი შევიდა სწორედ ქალბატონი ხორგუანი. მან შენობაში ნახა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაახლოებით 100 თანამშრომელი. „მათ დაამსხვრიეს ორი კარი და აპირებდნენ ჩემი სამუშაო კაბინეტის კარის დამტვრევასაც, მაგრამ თავად გადავეცი მათ გასაღები, ვინაიდან არაფერი მქონდა დასამალი, – გვაცნობა სოფიკო ხორგუანმა. – როდესაც მათ შევეკითხე, თუ რას ეძებდნენ, მიპასუხეს, რომ აწარმოებდნენ ოპერაციას ზურაბ გიგუაშვილის დასაკავებლად (იგი არის საფრანგეთში მიმალული ირაკლი ოძრუაშვილის ბიძაძ, რომელიც შენოგაში არ ყოფილა. როდესაც გიგუაშვილი ვერ აღმოაჩინეს, პოლიციელები მალე წავიდნენ“.

21-22 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა დააკავეს რვა და გამოაცხადეს ქართული პარტიის ლიდერის კიდევ ექვსი თანამებრძოლის ძებნის შესახებ. ზოგიერთმა დაპატიმრებულმა მისცა ალიარებითი ჩვენება, განაცხადეს, რომ აპრილის ბოლოს შეხვდნენ ირაკლი ოძრუაშვილს ვლადიკავკაზში, სადაც რუსეთის სპეცსამსახურების მონაწილეობით ამუშავებდნენ პრეზიდენტ სააკაშვილის დამხობის გეგმას. გეგმის თანახმად, მაისის ბოლოს ანტისამთავრობო გამოსვლების პერიოდში ბატონი ოძრუაშვილი თითქოს აპირებდა საქართველოში შემოჭრას სამხრეთი ოსეთიდან რუსეთის დაზვერვის მთავარი სამმართველოს ელიტურ ნაწილებთან ერთად, გორში შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების ბაზის ხელში ჩაგდებას და თბილისისკენ დაძვრას.

ქართული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ეროსი კიწმარიშვილმა ამ განცხადებას „ბოდვა და პარანოია“ უწოდა. მიუხედავად ამისა, ირაკლი ოძრუაშვილის თანამებრძოლებისა და ქართული პარტიის აქტივისტების დაპატიმრებები გრძელდება. სოფიკო ხორგუანის მონაცემებით, „დაპატიმრებულთა რიცხვმა 20-ს გადააჭარბა“. ზურაბ გიგუაშვილი, როგორც ჩანს, ქართული სპეცსამსახურების მხედველობის არეში მოხვდა, ვინაიდან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ექსმინისტრის სხვა თანამებრძოლებთან, რომლებიც ან დაპატიმრებული არიან ან მოასწრეს რუსეთში გაქცევა, რის შემდეგაც გამოცხადდა მათი ძებნა.

საქართველოს ყოფილმა ომგუდსმენმა, დღეს კი ქართული პარტიის თავმჯდომარემ სოზარ სუბარამ ხელისუფლების მოქმედებას უწოდა „ტერორი და მცდელობა ოპოზიციის დაშინებისა“. მან სხვა ოპოზიციურ პარტიებს მოუწოდა გამოუხატონ სოლიდაროობა „სიმართლისთვის წამებულებს“. მან განაცხადა, რომ მომხდარის შესახებ აცნობებს დასავლელი ძვეყნების ელჩებს. თერთმეტმა ოპოზიციურმა ორგანიზაციამ უკვე გამოუცხადა სოლიდაროობა ქართულ პარტიას. მათს განცხადებაში აღნიშნულია, რომ მომხდარი – ეს არის ოპოზიციური პარტიის შტაბ-ბინაში ჩხრეკის პირველი შემთხვევა ქვეყნის დამოუკიდებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

პასუხად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ აწარმოებს ჩვეულებრივ ოპერაციას იმ პირების გამოვლენისა და დასჯისთვის, რომლებიც ცდილობდნენ შეეძინათ უკანონო შეიარაღებული ფორმირება. „ის, რომ ზურაბ გიგუაშვილი ირაკლი ოძრუაშვილის ბიძაა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ის ანგელოზია და მისდამი არანაირი შეკითხვები არ გვქონდეს, – განაცხადა ჩვენთან საუბარში წყარომ შინაგან საქმეთა სამინისტროში. – ჩვენ გვაქვს უტყუარი დადასტურება იმისა, რომ ოძრუაშვილის უახლოესი გარემოცვა აპირებდა სიტუაციის გამოყენებას, რაც მაისის ბოლოს შეიქმნა ქვეყანაში, რათა მოეწყოთ მეტად სერიოზული შეიარაღებული პროვოკაცია რუსეთის სპეცსამსახურების მონაწილეობით“.

Коммерсантъ

საქართველომ პროგრესის დონით რუსეთზე გაიმარჯვა

უკანასკნელი წლების განმავლობაში რუსეთმა ვერ შეძლო საგრძნობლად აემაღლებინა მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი, გაეუმჯობესებინა ბიზნესის წარმოების პირობები და მინიმუმამდე შეემცირებინა კორუფციული მაჩვენებელი. ხუთწლედის გასაოცარი შედეგი – რუსეთი დაადგა რეგრესის გზას.

რუსეთის ფედერაციასთან საპირისპირო პოლუსზე ლიდერთა შორის პროგრესში აღმოჩნდა საქართველო, რომლის ხელისუფლებაც წარმატებით აუმჯობესებდა სამეწარმეო კლიმატს ქვეყანაში. ასეთი დასკვნა არის 5 ივლისს გამოქვეყნებულ კომპანია „პროგრესის რეიტინგის“ ანალიტიკურ მოხსენებაში. რუსეთმა ამ რეიტინგში 101 ქვეყანას შორის 97-ე ადგილი დაიკავა, საქართველომ კი – პირველი.

როგორც მოხსენების ავტორები ამტკიცებენ, მსოფლიო კვლევითს პრაქტიკაში ფაქტობრივად პირველად მოხდა უკანასკნელი ხუთი წლის შედეგების ინტეგრირება არსებული საქვეყნო რეიტინგების მიხედვით.

ეს არის მსოფლიო ბანკის, გაეროს და სხვა საერთაშორისო ანალიტიკური ცენტრების რეიტინგი კონკურენტუნარიანობის ინდექსის, ბიზნესის წარმოების პირობების, ადამიანური პოტენციალის განვითარების, ეკონომიკური თავისუფლების, კორუფციის აღქმის და სხვათა მიხედვით. სამი ძირითადი რეიტინგის გაშუალედებულმა მნიშვნელობამ საშუალება მისცა რეიტინგის ავტორებს მოეხდინათ 101 ქვეყნის რანჟირება პროგრესის დონის მიხედვით.

მილებულმა შედეგებმა შეაცბუნა მოხსენების ავტორებიც კი. პროგრესის დონის მიხედვით უტყუარი ლიდერი აღმოჩნდა საქართველო. ხუთი წლის განმავლობაში ჯამურად ყველა ინდექსის მიხედვით იგი 207 პოზიციაზე ამაღლდა. გადამწყვეტი როლი ამ ნახტომში შეასრულა ბიზნესის წარმოების პირობების ინდექსმა, რომელშიც საქართველო 2006 წლის 112 ადგილიდან გავიდა მე-12 ადგილზე 2011 წელს. როგორც მოხსენების ერთ-ერთი ავტორმა, კომპანიის სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტის დირექტორმა იგორ ნიკოლაევმა აღნიშნა, ქართული ფენომენი გასაოცარია მხოლოდ პირველი შეხედვით. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში მან გაგვაფრთხილა – საქართველოს ამ ნახტომში არ დავინახოთ პოლიტიკური კომპონენტი და მითითება საქართველო-ოსეთის 2008 წლის კონფლიქტზე. საქართველოს წარმატების მიზანი იმალება იმაში, რომ მისმა ხელისუფლებამ განახორციელა ათზე მეტი რეფორმა, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ქვეყანაში საქმიანი კლიმატის გაუმჯობესებას. მსოფლიო ბანკმა საქართველო აღნიშნა როგორც ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანა, რომელიც ისწრაფვის თავისი კანონმდებლობა გახადოს ლოიალური ბიზნესში. საქართველოში აღმოსავლეთი ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის შეიქმნა ყველაზე ეფექტიანი სისტემა მშენებლობაზე ნებართვის გაცემის საკითხში. 25 პროცედურის მაგივრად შემოიღეს 10, ნებართვის მიღების დრო შემცირდა ორჯერ, შედეგად მშენებლობის წილი შიდა მთლიან პროდუქტში 6-დან 11 პროცენტამდე გაიზარდა.

მეორე ადგილი დაიკავა მაკედონიამ, რომლის ჯამური ზრდა 160 პოზიციას შეადგენს. ყველაზე არსებითი მიღწევებს შორის ბიზნესისთვის – ეს არის მაკედონიაში ერთი ფანჯრის შექმნის სისტემა. ლიდერთა შორის პროგრესში აღმოჩნდნენ დომინიკის რესპუბლიკა, ეგვიპტე, ხორვატია, გვატემალა, ალბანეთი, მავრიტანია, ინდონეზია, რუმინეთი.

რუსეთმა პროგრესის რეიტინგში ერთ-ერთი უკანასკნელი – 97-ე ადგილი დაიკავა. მას მოსდევენ ვენესუელა, ნიკარაგუა, უკრაინა და ბოლივია. ჯამურად ყველა ინდექსის მიხედვით რუსეთმა 2006 წლის შემდეგ 97 პოზიცია დაკარგა. რეიტინგი ცხოვრების ხარისხის ინდექსის მიხედვით ჩამოვარდა 40 პოზიციაზე, კორუფციის აღქმის ინდექსით – 33 პოზიციაზე, ბიზნესის წარმოების პირობების ინდექსით – 26 პოზიციაზე. რეიტინგების ჩავარდნის ძირითადი მიზეზი – ეს არის სახელმწიფო ხარჯების ზრდა, რასაც უცხოელი ანალიტიკოსები ყოველთვის უკიდურესად ნეგატიურად აფასებენ. სხვა გადაუჭრელი პრობლემები – ეს არის საწარმოების ნაციონალიზაცია, კონტროლის გაძლიერება უცხოეთის ინვესტიციებზე, კორუფციის ზრდა, ბიუროკრატიული დაბრკოლებები ბიზნესის გზაზე. პატარა ილუსტრაცია – რუსეთში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში გადასახადი მშენებლობის ნებართვაზე. იგი ერთ სულზე საშუალო შემოსავალს აჭარბებს 44-ჯერ და უფრო მეტად. „და ყველაზე შთამბეჭდავი მისი კომპონენტი არის მოსენერგოს გადასახადი მოთხოვნაზე და ტექნიკური პირობების მიღება ელექტროობის გაყვანაზე – 10,5 მილიონი რუბლი, ანუ 75 ათასი რუბლი სამშენებლო ობიექტის ერთ კვადრატულ მეტრზე“, – ნათქვამია კომპანიის მოხსენებაში.

კიდევ უფრო უარესადაა საქმე რუსეთელთა ცხოვრების ხარისხთან დაკავშირებით. მაღალი ინფლაცია, ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვასა და განათლებაზე მიუწვდომლობა, აგრეთვე უკანასკნელი კლიმატური შერყევები – როგორც ზამთარში, ისე ზაფხულში, რომლებიც ნეგატიურად აისახება კომუნალურ და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე, სოფლის მეურნეობასა და ეკონომიკურ ზრდაზე – ეს ყოველივე უკან მოისვრის რუსეთს თავის განვითარებაში.

როდესაც მოხსენებას კომენტარს უკეთებდა, მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ევგენი გონტმახერმა აღნიშნა, რომ რეიტინგის პირველ პოზიციებზე იმყოფებიან ქვეყნები, რომლებიც განიცდიან „პოზიტიურ კატასტროფას“. საქართველოსა და მაკედონიაში ხდება სოციალური და ეკონომიკური სფეროების ღრმა მსხვრევა. ეს ქვეყნები არიან თვითთანვითარებადი ქვეყნები, რომლებიც მიდიან ეკნომიკური რეფორმებისა და პოლიტიკური რევოლუციების გზით, როგორც ეს იყო საქართველოში. პროცესი არ არის უმტკივნეულო, მაგრამ, როგორც ჩანს, მას მიჰყავს ქვეყნები განვითარების სხვა დონეზე. რეიტინგის ბოლოში იმყოფებიან ქვეყნები, რომლებიც განიცდიან „ნეგატიურ კატასტროფას“. იქაც ხდება ადრე შექმნილი ინსტიტუტების მსხვრევა, მაგრამ ეს არ არის თვითთანვითარების პროცესი, ეს არის თვითმსხვრევის პროცესი. ზოგიერთი ინსტიტუტი მორალურად ძველდება და თანდათანობით კვდება, სხვებს კიდევ – ანგრევენ შეგნებულად პოლიტიკური მოტივებით. მაგალითად გონტმახერმა დაასახელა დამღუპველი „კონკურენტული გარემოს ფრთხილი ყლორტები“.

ჩინეთმა პროგრესის რეიტინგში 38-ე ადგილი დაიკავა, მან აჩვენა ნულოვანი ზრდა ანალიტიკურ ინდექსებში უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში. მაგრამ ეს სულაც არ არის ჩინური სასწაულის მოდუნება, პირიქით, ეს არის ადრე მიღწეული მაღალი მაჩვენებლების განმტკიცება.

მოხსენების განხილვის დროს ეკონომისტებმა და ჟურნალისტებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ყველა ქვეყანაში, რომლებიც გახდნენ ლიდერები, როდი მოგინდება ჩასვლა უკეთესი ცხოვრების ძიებისთვის. ქვეყანაში საძმიანი კლიმატის მკვეთრი გაუმჯობესება ჯერ კიდევ არ იძლევა იმის გარანტიას, რომ იქ არის სტაბილურად ცხოვრების მაღალი ხარისხი და სოციალური კეთილდღეობა.

НЕЗАВИСИМАЯ

დედამიწის ზურგზე

გახსნილია პაკისტანში რუსეთელთა მკაცრი მკვლელობა – პოლიციამ ხოცვა-ჟლეტა უმიზეზოდ მოაწყო

პაკისტანის წესრიგის დამცველები ცდილობდნენ სამი მამაკაცი და ორი ქალი, რომელთაგანაც ოთხს რუსეთის პასპორტი ჰქონდა, წარმოეჩინათ, როგორც სახიფათო ტერორისტები. კომისიამ დაადგინა: უცხოელები მართლაც იყვნენ დაკავშირებული იატაკქვეშა ბოევიკებთან, მაგრამ ისინი უიარაღონი იყვნენ, მკვლელები კი მოქმედებდნენ გაუმართლებლად მკაცრად.

* * *

ჩინურმა ფირმამ, რომელიც აწარმოებს „ყველაზე საზიზღარ საძმელს მსოფლიოში“, მოითხოვა ამერიკელებისგან ბოდიშის მოხდა



სკანდალი გაჩაღდა ამერიკის ტელეკომპანია „სი-ენ-ენის“ რეპორტაჟის გამო, რომელმაც უხეში სიტყვებით მოიხსენია ტრადიციული ჩინური კერძი „პიდანი“ – „ასწლიანი კვერცხები“. ჟურნალისტებმა მათ „მსოფლიოში ყველაზე საზიზღარი საკვები“ უწოდეს. ჩინელებმა ამერიკელებს გაუნათლებლები უწოდეს და სარჩელი შეიტანეს სასამართლოში.

* * *

ავღანეთში თვითმფრინავი მთას შეეჯახა და დაიწვა

ინციდენტი მოხდა ქაბულთან მთაში ოთხშაბათს ღამით. თვითმხილველებმა განაცხადეს, რომ სატრანსპორტო თვითმფრინავი შეეჯახა მთას 3800 მეტრზე, გაჩენილი ხანძარი საათზე მეტი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა. ცნობები დაღუპულთა და დაშავებულთა შესახებ ჯერჯერობით არ არის. ხომალდი ეკუთვნოდა „აზერბაიჯანის ავიახაზებს“ – არ არის გამორიცხული, რომ ის ჩამოაგდეს.

* * *

საბერძნეთმა კიდევ ერთ ხომალდს „თავისუფლების ფლოტილია -2“-დან აუკრძალა ნავსადგურის დატოვება

საბერძნეთის ხელისუფლებამ ადრე უკვე დააკავა ორი ხომალდი აქტივისტებით და აუკრძალა ზოგიერთ სხვა ხომალდს დაეტოვებინათ ნავსადგურები ღაზის მიმართულებით. საბერძნეთი სთავაზობს აქტივისტებს გაუგზავნონ დახმარება სექტორს დაწესებული მარშრუტის მიხედვით, რომელთა წინააღმდეგიც ისრაელი არ არის.

◎ აჩრდილების გამოხმობა

ლექსებს წერდა „საკუთარი შტამპით“

ნურას უკაცრავად, კია წოდებული პოეტების ქვეყნად ჩვენი ლამაზი სამშობლო, მაგრამ, უამრავ პოეტთაგან ზოგ-ზოგს თუ შეუძლია გაიმეოროს გალაკტიონის სიტყვები — „ოქროსა ვჭრი, როგორც ვჭრიდი, საკუთარი შტამპით“.

იმ ზოგ-ზოგებეშია **ოთარ ჭელიძეც,** ქართული ეპიკური პოეზიის ბრწყინვალე ოსტატი, რომლის მთელ შემოქმედებაში განფენილია საკუთარი ხმა, აღბეჭდილია „საკუთარი შტამპი“, ნოვატორული აღმოჩენები... ქართული კლასიკური ლექსისადმი ერთგულება იგრძნობა ოთარ ჭელიძის ლექსებში, პოემებში, ბალადებში... იგი ხომ ბალადის ჟანრის ერთ-ერთი დამამკვიდრებელია მეოცე საუკუნის ქართული პოეზიაში. შეუძლებელია მკითხველი არ მოხიბლულიყო მისი „ორი მარაგდელით“, „თამარ მეფის საფლავით“, პოემით — „ჩემი მაგნიტური არე“, უამრავი ლირიკული ლექსით...

მე პირადად ყმაწვილობიდანვე მომყვება მისი:

„ჯაჭვის ხიდი, ჩვენი ხიდი,
ჯაჭვის რაჭა-იმერეთის,
ზედ სიცოცხლე ლხენით მიდის
ბალღობიდან სიბერემდის“.

ანდა „მერემის“ — ქველ საქართველოში ცხენთარეშების მწყემსის — მოქალაქის:

„მერემედ ვიქცევი სიბერისას
და ტრიალ ტრამალზე გავიჭრები,
რომ ისევ ვუმრავლო იბერიას
შავრები, რაშები, ტაიჭები.
მაშტაკა, ჯიმბირი, ჯაფიერი,
გულორღო, არაბა-შავწინწკლება,
იოლა, ჩალია — ჩალისფერი...
არცერთი არ მივცე დავიწყებას.
...არაფერს მოვითხოვ გასამრჯელოდ,
ფუჭ სახელ-დიდებას ვერიდები.
ჭიხვინა კვიცებით ავაჭრელოთ
სამშობლოს ქედები, ველ-მინდვრები“.

და ასე... რამდენი ნაღდი პოეტური სტრიქონი შემორჩა მეხსიერებას „საკუთარი მონეტის მჭრელი“ პოეტისა, რომელიც ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს, სამშობლოს გედუკულმართობით დანაღვლიანებული, არც ისე ხნიერი წავიდა ამ ქვეყნიდან და თავის სათაყვანო უფროს მეგობრებს ვალმოხდილი მიეახლა...

* * *

1985 წელს მთელ საქართველოში აღინიშნა ოთარ ჭელიძის დაბადების 60 წლისთავი და ეს, რა თქმა უნდა, უპირველესად გაზეთმა „კომუნისტმა“ აბცნო ქვეყანას.

— ვის ისურვებთ მომლოცველად? — შევეხმიანეთ რედაქციიდან.

— რა ვიცი, კაცო.. თქვენ, ვინც გნებავთ — მოგვიჭრა მოკლედ და მერე, მართლაც, ჩვენ თვითონ შევავწუხეთ რამდენიმე მისი მეგობარი-თანამოკალმე: „ცოტაა პოეტი, რომელიც ისეთივე ეპიკოსია, როგორი ლირიკოსიც. ამ ცოტაშია ოთარ ჭელიძე (მუხრან მაჭავარიანიძ... „ოთარ ჭელიძეს დიდოსტატურად აქვს ამეტყველებული ქართულ ენაზე გენიალური პუშკინისა და დიდი რუსი პოეტის — ალექსანდრე ტვარდოვსკის უკვდავი ქმნილებანი. სხვათა შორის, ალექსანდრე ტვარდოვსკი — ეს ტიტანი რუსული პოეზიისა — იოლად არავის დაიახლოვებდა ხოლმე, ოთარ ჭელიძეს კი დიდად აფასებდა და გულში იკრავდა, როგორც ღირსეულ კოლეგას და გულითად მეგობარს“ (ხუტა გერულავაძ.

„ბინდა ხაზგასმით ალვნიშნო მისი წარმატებები ვერსიფიკაციის სფეროში. ახლა, როცა მეცნიერულად, ანატომიური სიზუსტით არის დამუშავებული ქართული ლექსთწყობის საკითხები, თითქოს შეუძლებელიც კი იყო პრაქტიკულად რაიმე ახლის მოძიება, მაგრამ ოთარ ჭელიძის შინაგანმა ალღომ, მახვილმა სმენამ აინც მიაგნო სრულიად ახალ, მანამდე უცნობ მეტრულ სქემებს და ამით კიდევ უფრო გამოკვეთილი, კიდევ უფრო ინდივიდუალური გახადა თავისი მხატვრული ხელწერა“ (შოთა ნიშნიანიძე.

* * *

რამდენიმე დღის წინათ, ძველი გაზეთების თვალიერებისას, 1996 წელს გამოგავალ „სალიტერატურო გაზეთს“ გადავაწყდი, მთავარი რედაქტორი — ოთარ ჭელიძე — ვკითხულობ ბოლოგვერდზე. ნაირფერი მასალებითაა სავსე გაზეთი. კეთილ ღიმილს იწვევს ამა თუ იმ მწერლისადმი მიძღვნილი ფუნაგორია, რომლებიც თვითონ ბატონ ოთარს შეუკრებია სხვადასხვა დროს. ის კი არა, ერთ-ერთის ავტორი თვითონაა, რომელიც, მე პირადად, რატომღაც სულ არ მეგონა მისი. ეს ძალიან ცნობილი ფუნაგორია, ალბათ, თქვენც მოგისმენიათ, ანდა წაგიკითხავთ:

აგიაშვილსა ნიკასო
არ ნაყვარება პიკასო,
გადარეულა პიკასო:
რა დავუშავე ნიკასო.

ბატონი ოთარი იქვე თავმდაბლად წერს, ეს ფუნაგორია ვერ დაიბადებოდა, რომ არა ჩვენი უსაყვარლესი ლადო ასათიანის რუსულ-ქართული ფუნაგორიაო:

აგიაშვილი ნიკაო
ნე პრიზნაიოტ ნიკავო.

ჰოდა, სწორედ მაშინ ვიფიქრე, არ იქნება ცუდი თუ კი ჩვენს მკითხველს, მეტადრე, ჩვენს ახალგაზრდობას, გავახსენებდით გამორჩეულ პოეტსა და მამულიშვილს ოთარ ჭელიძეს. გავიკითხ-გამოვიკითხე ოჯახის მისამართი ბატონი ოთარისა, ავედი „იყალთოს გორაზე“ და მივადექი ქალბატონ დალი მუმლაძეს — ოთარ ჭელიძის ქვრივს, რომელიც იმსიმალლეზე ცხოვრობს შვილებითა და შვილიშვილებით. ქალბატონ დალი მუმლაძეს კარგად იცნობს შემოქმედებითი ინტელიგენცია, მეტადრე — თეატრალური... იგი ძალზე ავტორიტეტული თეატრმცოდნეა, დამთავრებული აქვს ჩვენი თეატრალური ინსტიტუტი, მოსკოვში კი — ასპირანტურა, იქვე კითხულობდა ლექციებს თეატრისა და კინოს ისტორიის სამეცნიერო ცენტრში, ამჟამად, სხვებთან ერთად მუშაობს „ქართული თეატრის ენციკლოპედიაზე“, წერს ქართული დრამატურგიის ისტორიას, ჩვენს თეატრალურ უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს პოსტმოდერნისტული თეატრის ისტორიაზე, მან, ერთ-



ერთმა პირველმა, დაიწყო როზერტ სტურუას თეატრის ფორმისა და შინაარსის კვლევა...

— ახლა ფეხი ისე მაწუხებს, ჩემო კარგო, რომ გადაადგილება მიჭირს და ზემოდან დავცქერი თბილისს... ნახეთ, რა ხედია, — ნაღვლიანად ილიმება იგი — შავგვრემანი, სიმპათიური ქალბატონი და სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებს მაწვდის, რომლებშიც ოთარ ჭელიძეზეა საუბარი...

— ბინა იმდენჯერ გამოვიცვალეთ, რომ ზოგი მასალა გაიბნა, დაიკარგა... ვართ ახლა აქ ორი ვაჟიშვილით, რძლითა და შვილიშვილებით...

— როგორ გაიცანით ოთარი?..

— გამომცემლობა „მერანში“ ვიყავი, იქ დავუნახივარ... მოგვიანებით შალვა დეკანოიძისა და მურმან ქოიავას დახმარებით გამიცნო... რამდენიმე ლექსიც კი აქვს მოძღვნილი...

„და მეც უკვდავმყოფად ვესიზმრები
ჩემსავ აცხადებულ ნაოცნებარს,
დალის გაღმერთებით ვეღირსები
დღემდე შეუცნობელ საოცრებას“.

— ერთი შეხედვით გოროზი კაცი ჩანდა...

— კი, ცოტა „მძიმე“, თანაც ეჭვიანი იყო, თუმცა — მიამიტი... ეუმორიც არ აკლდა... მთელი დღე თავაუღებლად შეეძლო ემუშავა... რუსული იცოდა ბრწყინვალედ, ევტუშენკო და ახმადულინა მან ჩამოიყვანა პირველად მოსკოვიდან...

— რაჭველი მამაკაცები ოჯახის ხალხია...

— გადაგებული იყო ოჯახს... როგორც წესი — მე ბაზარში არ დავდიოდი...

— რაჭაში ჰყავდა ვინმე?..

— რაჭაში, სოფელ ბაჯში მამისეული სახლი ჰქონდა, თუ გახსოვთ მისი შესანიშნავი საბავშვო პოემა „ალხანა და ჩალხანა“, „ჩალხანას“ — თავის ბიძაშვილ ნოდარ ჭელიძეს ჩააბარა იქაურობა... ახლა ველარ ვუვლით...

— დაუბეჭდავი თუ დარჩა რამე?

— თითქმის არაფერი... ბოლოს რომანს ბეჭდავდა „ცისკარში“... დუმთავრებელი დარჩა... ძალიან მინდა, რომ ცალკე წიგნად გამოვაქვეყნო... ასეა... ახლა 86 წლისა იქნებოდა... მიირთვით, თუ შეიძლება...

ქალბატონი დალი კონიაკს მისხამს... ვდგები, ვლოცავ ოჯახს, ოთარ ჭელიძის სახელის არმოშლას ამ ოჯახში (ამის გარანტი პატარა ოთოა, რომელიც შესანიშნავად ხატავსო, ამბობს მასპინძელიძ და „იყალთოს გორიდან“ გამსახურდიას გამზირზე ვეშვები.

ავტობუსში კი ისევ ოთარ ჭელიძეზე ვფიქრობ: აი, მოდის სამი ხანშიშესული მამაკაცი რუსთაველზე, გამომცემლობა „მერანიდან“ გამომცემლობა „სამშობლოსკენ“, ოთარ ჭელიძესა და კრიტიკოს ვლადიმერ ჯიბუტს შუაში ჩაუყენებიათ საყვარელი პოეტი და რაინდი კაცი კოლაუ ნადირაძე... მოდიან მუსაიფით... ზუსტად ვიცი: გამომცემლობა „სამშობლოს“ სალაროში ამ სამიდან, რომელიმეს ჰონორარი აქვს ასაღები დეიდა ჟენიასთან (აცხონოს ღმერთმაძ... აიღებენ ჰონორარს და ან „სამაიაში“, ან კაფე „მეტროში“ (რამდენჯერ მომიკრავს თვალიძ ჩამოსხდებიან ძველი მეგობრები... იქნებ შალვა დეკანოიძეც, ოთარ მამფორიაც იყოს მათთან... ბედნიერება მძონდა, რამდენჯერმე, მეც ამეწია ჭიქა ამ ძვირფას ადამიანებთან...

იმ დღეებს რა წაშლის!

ვილენ მარდალეიშვილი

◎ ენერგეტიკა

იმ გზაზე, რომლითაც ნინო მობრძანდებოდა...

საქართველოს განახლებადი ენერგეტიკა, რომელიც, პირველ ყოვლისა, ჰიდროენერგორესურსების გამოყენებას გულისხმობს, დიდი ხანია მსხვილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ყურადღებას იპყრობს. ამჟამად მხედველობაში გვაქვს საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), რომლებიც ახლო მომავალში საქართველოს ენერგეტიკაში 115,5 მილიონ დოლარს დაბანდებენ.

საქმე ეხება სამხრეთ საქართველოში, სამცხე-ჯავახეთში, მდინარე ფარავანზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დაფინანსებას, რომლის რეალიზაციისთვის თურქული ჰოლდინგის „ანა დოლუ ინდათრის“ შვილეულ კომპანია „ჯორჯია-ურბან ენერჯის“ (GUE ITDძ 52 მილიონ დოლარს, ხოლო IFC — 40,5 მილიონ დოლარს გამოუყოფს. გარდა ამისა, ორივე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი კომერციული ბანკებიდან დამატებით 23 მილიონ დოლარს მიიზიდავს. ამდენად, 85 მეგავატის სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური მდინარე ფარავანზე IFC-სა და EBRD-ს საქართველოს განახლებადი ენერგეტიკის სექტორში პირველი ერთობლივი ინვესტიცია იქნება.

ამ პროექტის განსაკუთრებულობა კიდევ ისაა, რომ მომავალი ფარავანჰესის ელექტროენერგიის ნაწილი თურქეთში იქნება ექსპორტირებული: საქართველო ელექტროენერგიას ზამთარში მიიღებს, ზაფხულში მას თურქეთს მიაწოდებენ.

მდინარე ფარავანზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ევროკომისიის მიერ 2007 წელს მიღებული „ენერგეტიკული პოლიტიკა ევროპისთვის“ პროექტის ფარგლებში განხორციელდება, რაც ევროკავშირის, ასევე შავი და კასპიის ზღვების აუზების ქვეყნების მიერ ოთხი სფეროს მომცველი საერთო ენერგეტიკული სტრატეგიის მატებას გულისხმობს. კერძოდ, ესენია: **ენერგეტიკული უსაფრთხოების დონის გაზრდა, ენერგეტიკული ბაზრების დაახლოება, ენერგეტიკის მდგრადი განვითარების მხარდაჭერა და ერთობლივი პროექტების განსახორციელებლად ინვესტიციების მოზიდვა. გარდა ამისა, პროექტი ასევე კიოტოს პროტოკოლის რეკომენდაციებს შეესაბამება, რომლებიც ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენებასა და ენერგიის წარმოებისა და გამოყენების შედეგად ეკოლოგიურ ზემოქმედებათა შემცირებას ეხება.**

მართალია, მდინარე ფარავანზე ჰიდროენერგოსადგურის მშენებლობა სოლიდური უცხოური ინვესტიციითაა გამაგრებული, მაგრამ ექსპერტები ამასთან დაკავშირებით მთელ რიგ კრიტიკულ შენიშვნას გამოთქვამენ. კერძოდ, ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, თუ რა პირობებით განხორციელდება შემდგომ მისი ექსპლუატაცია, მშენებლობის პროცესში მუშახელის დასაქმების საკითხს და სხვ. კერძოდ, ლაპარაკია იმაზე, რომ **ზამთარში, როცა მდინარის ჩამონადენი წყალი ისევე, როგორც საქართველოს დანარჩენ მდინარეებში, ყველაზე მწირია, შესაბამისად, ელექტროენერგიის გამომუშავებაც, წლის სხვა სეზონებთან შედარებით, ყველაზე მცირე იქნება. ამდენად საქართველოს ენერგოსადისტრიბუციო სისტემა ელექტროენერგიის საკმაოდ უმნიშვნელო ოდენობით შეივსება, რაც სადღეისოდ მოქმედ სამომხმარებლო ტარიფზე ვერანაირად ვერ აისახება. რაც შეეხება ზაფხულის პერიოდში ეგრეთ წოდებული „ჭარბი“ ელექტროენერგიის თურქეთში ექსპორტს, ამის შედეგად დიდ შემოსავალს ვერც ქვეყნის ბიუჯეტი ვერ მიიღებს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ კანონმდებლობით ელექტროენერგიის ექსპორტზე აქციზისა და დამატებული ღირებულების გადასახადი არ არსებობს.**

მდინარე ფარავანზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დადებით მხარეებზე ლაპარაკისას ხშირად აღნიშნავენ, რომ დიდ მშენებლობას მხარეში, სადაც შრომის ბაზარი განსაკუთრებულად მწირია, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობისთვის დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია. არადა, ელემენტარული გათვლები, ამ ოპტიმისტური მოსაზრებიდან განსხვავებით, რამდენადმე სხვა სურათს წარმოაჩენენ. ერთი ის, რომ **ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე 300 ადგილობრივზე მეტი არ დასაქმდება, ხოლო როცა ობიექტი მწყობრში ჩადგება, მის საექსპლუატაციო მომსახურებას სულაც აღნიშნულ ოდენობაზე ათჯერ ნაკლები, დაახლოებით 30 კაცი დასჭირდება.**

ნებისმიერი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ენერგეტიკული უსაფრთხოება, რომელიც დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში ენერგიის ნებისმიერი ფორმის, საჭიროოდენობით და იაფად ხელმისაწვდომობას გულისხმობს, საქართველოში სადღეისოდ ერთობ დაბალ დონეზეა. ამას თუნდაც ის გარემოება მოწმობს, რომ ყოველწლიურად ქვეყანას დაახლოებით მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების ენერგოშემცველი შემოაქვს. აქედან გამომდინარე, ალბათ, ჩვენთვის უფრო მომგებიანი იქნებოდა ელექტროენერგიის ექსპორტი კი არა, არამედ მისი, ასე ვთქვათ, გარკვეული პერიოდით „განათხოვრება“. კონკრეტულად რომ ვთქვათ, მაშინ, როცა ჰესი ჭარბ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, ის გავცეთ მომხმარებელთან არსებული დეფიციტის შესავსებად საჭირო ოდენობით, ხოლო როცა დეფიციტი ჩვენ შეგვექმნება, იგი იმ დროს „უკან უნდა დაგვიბრუნონ“. ამის მთავარი არგუმენტი კი ის გახლავთ, რომ ჩვენს ჰიდროელექტროჰესებში გენერირებულ ჭარბ ელექტროენერგიას კილოვატსაათს 4 თეთრად ვყიდით, ხოლო ზამთარში თბოელექტროსადგურებში გამომუშავებული ელექტროენერგია უკვე 10 თეთრი გვიჯდება. ამ პიროგეში კი ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფის დაწევაზე ლაპარაკი სრულიად ზედმეტია.

ოთარ ტურაგელიძე

◎ ინფორმაცია თემაში

ფარავნის ტბის სამხრეთ ნაწილში გამომდინარე მდინარეზე 9 მეტრის სიმაღლის ჰიდროელექტროსადგური ტბიდან 27 კილომეტრში აშენდება. ამ ადგილას 14 კილომეტრზე მეტი სიგრძის გვირაბი გაითხრება, რომლითაც წყალი ჰესის ტურბინებს მიეწოდება, თავად ჰესის ნაგებობა ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აიგება. მისი სიმძლავრე წელიწადში 85 მეგავატი იქნება და 425 მილიონ კილოვატსაათელექტროენერგიას გამოიმუშავებს, ხოლო მშენებლობას 4 წელი დასჭირდება.

◎ მინისტერიალი – 2011

ბრძოლა მწვავდება

დიდ ინტერესს იწვევს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებული მინისტერიალის თასის გათამაშება, სადაც 20 სამინისტროსა და სამთავრობო უწყების გუნდი 8 სახეობაში ეჯიბრება ერთმანეთს.

ამ დღეებში დასრულებული ბრძოლების პრიზიორები გახდნენ:

ჭადრაკი. შინაგან საქმეთა სამინისტრო, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, უზენაესი სასამართლო.

ბოულინგი. იუსტიციის სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ამრიგად, სამი სახეობის შემდეგ საერთო გუნდურ ჩათვლაში ასეთი მდგომარეობაა:

თავდაცვის სამინისტრო – 25 ქულა, იუსტიციის სამინისტრო – 20, შინაგან საქმეთა სამინისტრო – 15, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო – 10-10, უზენაესი სასამართლო, ჯანდაცვის სამინისტრო – 5-5 ქულა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ კალათბურთი

დღეს კენჭისყრაა

ფიბა-ევროპამ ის გუნდები დაასახელა, რომლებიც 2011-2012 წლების ევროჩელენჯის გათამაშებაში მიიღებენ მონაწილეობას. შეგახსენებთ, რომ მომავალი ტურნირი ქართველ გულშემატკივარში განსაკუთრებულ ინტერესს მარტივი მიზეზის გამო იწვევს – ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ევროპულ ასპარეზზე ორი ქართული კლუბი – „არმია“ და „სოხუმი“ ითამაშებს.

ევროჩელენჯის რეგულარულ სეზონში 32 გუნდი იასპარეზებს, რომელთაგან 27-ს ვინაობა უკვე გარკვეულია. რვა კლუბი რანგით უმდაბლეს ევროტურნირზე ევროთასის საკვალიფიკაციოეტაპიდან გადმოინაცვლებს, ცხრამეტ კლუბს კი ეს უფლება პირდაპირ აქვს მინიჭებული.

ამ უკანასკნელთა შორის „არმიაც“ იმყოფება, ქართველთა გარდა კი აღნიშნული პატივი „ანტვერპენს“ (ბელგია), „ოსტენდეს“ (ბელგია), “კერავნოსს“ (კვიპროსი), “ბოვერლას“ (უკრაინა), “ნიჟნი ნოვგოროდს“ (რუსეთი), „ხიმიკს“ (უკრაინა), “ერდინეს“ (თურქეთი), „ბეტინგენს“ (გერმანია), „პო-ორტეზს“ (საფრანგეთი), „ნიტრას“ (სლოვაკეთი), „ტელეკომს“ (გერმანია), „პარდუბიცეს“ (ჩეხეთი), „ტურკ ტელეკომს“ (თურქეთი), „რუანს“ (საფრანგეთი), „კლუჟს“ (რუმინეთი), „ოლდენბურგს“ (გერმანია), „ლეიდენსა“ (ჰოლანდია) და „ფუენლაბრადას“ (ესპანეთი) ერგოთ.

კიდევ ათი კლუბი, რომელთა შორის „სოხუმიც“ ფიგურირებს, ევროჩელენჯის დარჩენილი ხუთი საგზურისთვის საკვალიფიკაციო რაუნდში იბრძოლებს. ფლეი-ოფში სოხუმელთა მეტოქე ამათგან შეირჩევა: „ტრაისკირხენი“ (ავსტრია), „მინსკ-2006“ (ბელორუსი), „ატომერომუ“ (უნგრეთი), „ტამპერე“ (ფინეთი), „სპარტაკ პრიმორიე“ (რუსეთი), „ენისეი“ (რუსეთი), „შოლნოკი“ (უნგრეთი), „კრასნიე კრილია“ (რუსეთი) და „ტრიუმფი“ (რუსეთი).

32 კლუბი პირველ ჯგუფურ ეტაპზე რვა ოთხგუნდიან ჯგუფში გადანაწილდება და მიმოსვლითი სისტემით ითამაშებს. ტოპ-16-ში ჯგუფების ორ-ორი მოწინავე გააღწევს, რომლებიც უკვე ოთხ-ოთხგუნდიან ჯგუფში იასპარეზებენ. ამ ჯგუფების პირველ-მეორეადგილოსნები მეოთხედფინალში მოხვდებიან, საუკეთესო ოთხეული კი ტრადიციულ „ოთხთა ფინალში“ ითამაშებს.

შეგახსენებთ, რომ ევროჩელენჯის კენჭისყრა დღეს გარსელონაში შედგება. იქვე გაიმართება ევროლიგისა და ევროთასის კენჭისყრაც.

◎ ბაჩოს თასი

კოლეგის სადიდებელი

შარშან მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ჩვენი ძვირფასი სარგიელელი კოლეგის ბაჩო სვანიძის ახალგაზრდა სიცოცხლე ჩაიფერფლა...

სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო დღეს კუს ტბაზე მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი მეორე მედია-ტურნირი გაიმართა, რომელშიც მთავარი პრიზები მინიფეხბურთელ ვაჟთა ათმა და ქვიშის ფრენბურთელ ქალთა რვა გუნდმა გაითამაშა.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებული საინტერესო ასპარეზობის გამარჯვებული ქალთა შორის გაზეთი „ლელო“ გახდა, რომელმაც ფინალში 2:1 სძლია რადიო „აფხაზეთის ხმას“.

კიდევ უფრო მძაფრად განვითარდა მოვლენები ვაჟთა შეჯიბრების გადამწყვეტ რაუნდში, სადაც შარშანდელმა ჩემპიონმა პირველმა არხმა ტიტულის შენარჩუნება ტელეკომპანია „რეალ ტივის“ პენალტების სერიაში დამარცხებით შეძლო – 4:2 (ძირითადი დრო – 0:0ძ.

მემორიალის ლაურეატები თასებთან და მედლებთან ერთად საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის“ ერთთვიანი აბონენტებითაც დაჯილდოვდნენ. გარდა ამისა, მათ ტურნირის მხარდამჭერმა კომპანია „ნატახტარმა“ რესტორან „წისქვილის“ 500-ლარიანი მოსაწვევები გადასცა, ხოლო მეორეადგილოსნებს – „ბოულინგ ცენტრალის“ 300-ლარიანი ვაუჩერები.

ტრადიციისამებრ, კომპანია „ნატახტარმა“ გამოავლინა ხსოვნის ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებიც – პირველი არხის მეკარე მამუკა ბერძენიშვილი და რადიო „აფხაზეთის ხმის“ ლიდერი ანა გამსახურდია. გუნებრივია, ვალში არც სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის თავკაცი ელგუჯა გერიშვილი დარჩენილა, რომელმაც რამდენიმე ნომინაციის რჩეულებს წიგნები უსახსოვრა.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

დისკვალიფიკაციით დაემუქრა

ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი ზიმბაბვეში მცირეხნიანი ვიზიტის დროს სამუდამო დისკვალიფიკაციით დაემუქრა იძაურ ფეხბურთელებსა და მათ ხელმძღვანელობას, თუ კი დამტკიცდება მათი მონაწილეობა ფიძსირებულშედეგებიანი მატჩების გამართვის საქმეში. პრეზიდენტმა გზად შეიარა დურბანში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე.: ახლახან ფიფამ დაიწყო ზიმბაბვეს ნაკრების თამაშების გამოძიება 2009 წლის აზიურ ტურნირზე.

გამოკვლევის მიმდინარეობისას, ზიმბაბვეს ასოციაციებმა რომ წამოიწყეს, ნაკრების მოთამაშეებმა, კაპიტნის მეტოდ მვანჟალის ჩათვლით, აღიარეს, რომ ფული მიიღეს სირიისა და ტაილანდის გუნდებთან დამარცხებისთვის. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ეროვნული ფედერაციის წარმომადგენლები შეუთანხმდნენ სინგაპურელ საქმოსან უილსონ პერუმალს, რომელსაც გრალად ედება აზიურ დამნაშავეთა სინდიკატის ინტერესებისთვის მთელ მსოფლიოში მოლაპარაკებითი თამაშების ორგანიზაცია.

მაურინიუ კაპიტანს ცვლის

როგორც ესპანური გაზეთი Marca წერს, მადრიდის „რეალის“ მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მაურინიუმ გადაწყვიტა, კაპიტნის სამკლაური ჩამოართვას მეკარე იკერ კასილიასს. მის შემცველად კი აპირებს მინდვრის რომელიმე მოთამაშის დანიშვნას და ამას იმით ამართლებს, რომ მინდვრის ფეხბურთელს უფრო გაუიოლდება შეხვედრის მსაჯთან ურთიერთობა, ვიდრე მეკარეს.

მაურინიუს ადრინდელ საწვრთნელ გუნდებში ხომ კაპიტნებად სწორედ მინდვრის მოთამაშეები იყვნენ – ხავერ ქანეტი – მილანის „ინტერში“ და ჯონ ტერი – „ჩელსიში“.

ფიქრობენ, რომ „რეალის“ ახალი კაპიტანი შეიძლება გახდეს ან მცველი სერხიო რამოსი ანდა ნახევარმცველი ხაბი ალონსო.

რაც შეეხება კასილიასს, მან სამეფო კლუბის კაპიტნობა მიიღო 2010 წლის ზაფხულში, როდესაც „რეალში“ მრავალწლიანი კაპიტნობის შემდეგ რაულიმ გუნდი დატოვა და გერმანულ „შალკეში“ გადავიდა.

სახალხო დღესასწაულად აქციეს

ასი ათასზე მეტი ადამიანი შეიკრიბა ბელგრადში სერბეთის ეროვნული კრების შენობისწინა მოედანზე, რათა მისალმებოდნენ თავიანთ კერპს, გასულ კვირას ლეგენდარულ უიმბლდონზე გამარჯვებულ ჩოგბურთელს ნოვაკ ჯოკოვიჩს.

ფინალში მსოფლიოს პირველ ჩოგბურთელზე რაფაელ ნადალზე გამარჯვების შემდეგ ბრიტანეთიდან დაბრუნებულმა უკვე პლანეტის პირველ ჩოგანოსნად ქცეულმა ჯოკოვიჩმა განაცხადა, რომ თავის გამარჯვებას უძღვნის მთელ სერბ ხალხს. „სერბეთო, დღევანდელი საღამოდან მე შენი სამუდამო ვალი მაქვს. მადლობა ასეთი დიდებული შეხვედრისთვის, – მიმართა ჩოგბურთელმა შეკრებილთ.

როგორც ბი-ბი-სი გადმოსცემს, ეროვნული დროშებით და მსოფლიოს პირველი ჩოგანოსნის პორტრეტებიანი პლაკატებით შეიარაღებული გულშემატკივრები მთელი საღამო გაჰყვიროდნენ „ნოლე მეფეა“, „ნოლე – ჩვენ შენ გვიყვარხარო“.

საზეიმო შეხვედრის შემდეგ გაიმართა კონცერტი და ფეიერვერკი.

◎ ფეხბურთი

ხუთი ზედმეტი

ავტორიტეტული გერმანული გამოცემის „ბილდის“ ინფორმაციით, ლევან ყენია იმ ხუთ ფეხბურთელს შორისაა, რომელთაც გელზენკირხენის „შალკეს“ ხელმძღვანელობა მომავალ სეზონში გუნდის რიგებში არ მოიაზრებს.



„ბილდი“ იუწყება, რომ ვიდრე ფეხბურთელები შვებულებაში იყვნენ, გელზენკირხენელთა სპორტული დირექტორი ჰორსტ ჰელდტი გუნდში ყოფილი მთავარი მწვრთნელის, ფელიქს მაგათის მიერ „გაბერილი“ კადრების დაუნდობელი შეკვეცით იყო დაკავებული. „შალკეში“ რამდენიმე ფეხბურთელი გაყიდა, ხოლო ნაწილთან კონტრაქტები გაწყვიტა. თუმცა, „ბილდი“ ირწმუნება, რომ ჰელდტი ამაზე შეჩერებას არ აპირებს და იმ ხუთი ფეხბურთელის სიას აქვეყნებს, რომლებიც კლუბს დატოვებენ: ლევან ყენია, ჯერმეინ ჯონსი, ენტონი ანანი, იან მორავეცი და ხაო იუნმინი.

„სეზონის დასაწყისისთვის გუნდში 24 ან 26 ფეხბურთელი იქნება. ანანს და ხაოს უკვე ველაპარაკეთ და ახალი კლუბების მოძებნა ვურჩიეთ“, – განუცხადა ჰელდტმა „ბილდს“.

გუნებრივია, გელზენკირხენელები მათთვის არასასურველი ფეხბურთელების გუნდიდან გაშვებით ადგილს ახალი შენაძენებისთვის ათავისუფლებენ. იმ ფეხბურთელთა სიაში, ვისი შეძენაც „შალკეს“ სურს, პირველი „ვოლფსბურგის“ ნახევარმცველი საშა რიტერია, რომელიც 2,5 მილიონ ევროდაა შეფასებული.

ყენიას კოჭზე რამდენჯერმე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ, წელიწადი და 9 თვე არ უთამაშია, ხოლო ვარჯიშს აგვისტოს დასაწყისში განაახლებს. თუ სად და როგორ გაგრძელდება მისი კარიერა, ამ ეტაპზე უცნობია.

◎ ჩვენი კარაბადინი

აბები გასტროსკოპიის ნაცვლად

სტატისტიკის მიხედვით, გასტროენტეროლოგის პაციენტების 50 პროცენტი უარს ამბობს გასტროსკოპიაზე იმ უსიამოვნო შეგრძნებების გამო, რასაც ეს პროცესი იწვევს. აი 25 წლის დოცენტმა დმიტრი მიხაილოვმა კი, რომელმაც ერთხელ გაიარა გასტროსკოპია, ამ პროცედურას თავის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი შერყევა უწოდა და მიზნად დაისახა მისი შემცვლელის გამონახვა. შედეგად გაჩნდა ენდოკაფსული „ლანდიში“ („შროშანი“ძ, რომლის დახმარებითაც გასტროგამოკვლევა შეიძლება გაიარო პრაქტიკულად უმტკივნეულოდ.

„ლანდიში“ – ეს არის ერთჯერადი კაფსული (სიგრძეში – 15 და დიამეტრით – 7 მილიმეტრიძ. მიუხედავად მიკროსკოპული მოცულობისა, მასში ეტევა ფერადი ვიდეოკამერა, რადიოგადამცემი, ბატარეა და შუქის 4 წყარო. ერთადერთი, რაც პაციენტმა უნდა გააკეთოს, ეს არის: დალიოს კაფსული წყლით და 4 საათის განმავლობაში თავი შეიკავოს ჭამისგან. კუჭ-სისხლძარღვთა ტრაქტში ყოფნის დროს (დაახლოებით 8 საათიძ „ხელსაწყო“ დეტალურად სწავლობს მას და ვიდეოანგარიშს აგზავნის დამაანგარიშებელზე – პატარა ხელსაწყოზე, რომელიც გამოკვლევის დროს პაციენტს ჯიბეში უდევს.

კაფსული არა მხოლოდ პოულობს პრობლემურ ადგილებს (სიმსივნეებს, წყლულებს, სისხლდენას, პოლიპებსძ, არამედ ექიმისთვის ამონტაჟებს კიდევ სლაიდ-შოუს გამოკვლევის საკვანძო მომენტებით. „ლანდიშის“ უცხოური ანალოგები, რომლებიც მოცულობით 2,5-ჯერ მეტია და 10-ჯერ ძვირი, აჩვენებენ მხოლოდ სრულ მრავალსაათიან ანგარიშს თავისი „მოგზაურობის“ შესახებ. ენდოკაფსულის ყველაზე დიდი უპირატესობა არის ის, რომ ის საშუალებას იძლევა ჩავიხედოთ ვიწრო ნაწლავში, რომელიც მანამდე დაკეტილი იყო ექიმებისთვის. თუ ზედა განყოფილებაში – საყლაპავი მილი, კუჭი – შეიძლებოდა შეგეღწია ენდოსკოპით, მსხვილ ნაწლავში კი – კოლონოსკოპით, მუცლის ცენტრი ექიმისთვის დახურულ ტერიტორიად რჩებოდა. „ლანდიშის“ დახმარებით შესაძლებელი გახდა თხელი ნაწლავის სიმსივნის დიაგნოსტიკა, რომელიც აქამდე ვლინდებოდა უკანასკნელ, ნეოპერაციულ სტადიაში.

მას შემდეგ, რაც კაფსულა ორგანიზმს დატოვებს, პაციენტი მიდის ექიმთან, ექიმი დამაანგარიშებელს რთავს კომპიუტერზე და გადმოიწერს იქიდან მონაცემებს. სპეციალურ პროგრამას თავად შეუძლია დასვას წინასწარი დიაგნოზი. სხვათა შორის, მთელი კლინიკური გამოცდის პერიოდში „ლანდიშს“ არ დაუშვია არც ერთი შეცდომა. ექიმმა მხოლოდ უნდა დაადასტუროს დიაგნოზი და დანიშნოს დამაზუსტებელი გამოკვლევები.

– ამჟამად მიმდინარეობს „ლანდიშის“ სერიულ წარმოებაში გაშვების პროცესი, – ამბობს დმიტრი მიხაილოვი. – პრაქტიკულ მედიცინაში ენდოკაფსული უნდა მოხვდეს უკვე მიმდინარე წლის ბოლოს.

სხვათა შორის, ლანდიში – ეს არის ექიმ-გასტროენტეროლოგის სახელი, რომელიც გასტროსკოპიას უკეთებდა ასპირანტ მიხაილოვს. მოგვიანებით ექიმი-გასტროენტეროლოგი ლანდიშ გაგაიდულინა შევიდა ახალი ხელსაწყოს დამუშავებელთა ჯგუფში.

ლიდია იუდინა



გარდაიცვალა გრწყინვალე მსახიობი და მოქალაქე, ქართველი ხალხისთვის უსაყვარლესი ადამიანი – საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, 1999-2003 წ.წ. პარლამენტის წევრი

ზურაბ ქაფიანიძე

ადრეულ წლებში მოღვაწეობდა ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრში, მაგრამ ის ქართველ ხალხს მეხსიერებაში დარჩა როგორც კინომსახიობი. მისი თითოეული შესრულებული როლი იყო გაჟღენთილი ჟეშმარიტი ქართული სულით, რომლის მიერ შექმნილი გმირთა სახეები ყოველთვის გვახსენებდნენ ქართველი კაცის გაუტეხელ სულს. ის იყო თავის ქვეყანაზე მოფიქრალი პიროვნება. მან მონაწილეობა მიიღო 43 ფილმში, მაგრამ ქართველი ხალხისთვის დაუვიწყარი იქნება მის მიერ შესრულებული აპარეკას სახე „ხევსურულ გალადაში“, ივანეს სახე „ივანე კოტორაშვილის ამბავში“ და სხვა მრავალი.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით უსამძიმრებს ქართველ ხალხს და მის ოჯახს ზურაბ ქაფიანიძის გარდაცვალებას.

მერაბ ბერძენიშვილი

◎ იცოდით?

რამდენი საერთაშორისო ენაა მსოფლიოში?

– ესპერანტო (ესპერ – esperantod – მოიმედე (ფრანგ. esper – იმედის ქონაძ. ხელოვნური საერთაშორისო ენა, რომელიც შექმნა პოლონელმა ლუდვიგ ზამენჰოფმა 1887 წელს, ყველაზე უფრო გავრცელებული ევროპული ენების მასალის გამოყენებით)

– ვოლაპუკი – (ხელოვნური ენა volapuk – (ინგლისურად wolla – მსოფლიო და speak – ლაპარაკიძ. ერთ-ერთი ხელოვნური ენა (გამოიგონა 1880 წელს შლეიერმაძ, რომლის გამოყენებასაც ცდილობენ საერთაშორისო ენად.

– იდო (ესპერ. ido – შთამომავალიძ ერთ-ერთი ხელოვნური ენა, ესპერანტოს ვარიანტი, რომელიც შექმნა ფრანგმა ლ. დე ბოფრონმა XX ს. დასაწყისში.

– ინტერლინგვა (ლათ. intev შორის და Ligua – ენაძ, რომელიც აგებულია ლათინური ენის საფუძველზე; შექმნა იტალიელმა მათემატიკოსმა პეანომ – 1903 წელს.

– ნოვიალი – (ხელოვნური ენაძ შექმნა იესპერსენმა 1928 წელს.

– ბეისიკი – (დაპროგრამების ენა) შექმნეს კორენ კეშენმა და ტომას კუტცემ – 1864 წელს.

– სანსკრიტი – (ინგლ. sanscrit – ძველი ინდური სამწერლო ენა. სანკრიტოლოგია – სანსკრიტის შემსწავლელი მეცნიერება (sanskritad.

– ოქტიდენტალი – ლათინური (occidentalis დასავლეთისა, დასავლურიძ ერთ-ერთი ხელოვნური საერთაშორისო ენა. შექმნა ესტონელმა ე. ვალმა 1922 წელს, დასავლეთ ევროპის ენებთან მაქსიმალური სიახლოვის პრინციპით.

ზინა ლოგჟანიძე,
კურორტი აბასთუმანი.

ალერგია კოლოეზზე

ადრე არასოდეს მაწუხებდა კოლოს კბენა. წელს კი გამიჩნდა რაღაც ალერგია. საიდანაა?

გ.ბერაძე, ფოთი

– კოლოეებისგან ყველაზე მეტად პატარა ბავშვები იტანჯებიან – მათ ნაკბენის კვალი 4-7 დღე ეტყობათ, – **გვიამბობს ექიმი-დერმატოლოგ-ალერგოლოგი მანანა ჟედია.** – მოზრდილებს დროთა განმავლობაში უვითარდებათ იმუნიტეტი კოლოს ნერწყვში არსებულ ანტიკოაგულიანტებზე – ნივთიერებაზე, რომელიც წინააღმდეგობას უწევს სისხლის შედედებას. ამიტომ ისინი არ განიცდიან განსაკუთრებულ დისკომფორტს ამ მწერების თავდასხმებზე. მაგრამ სიცხეში მოზრდილებსაც შეიძლება გაუჩნდეთ „კოლოს ალერგია“. ცხელი ამინდი – არის სტრესი ორგანიზმისთვის, და იგი იწყებს მწვავე რეაგირებას გარეგან გამღიზიანებელზე.

ქავილი რომ მოვიხსნათ კბენის შემდეგ, კანზე დაიდეთ ცივ წყალში დასველებული ცხვირსახოცი. მგრძნობიარე რეაქციის მქონე ადამიანებს ვურჩევთ მიიღონ ანტიჰისტამინური პრეპარატი. და კიდევ უფრო უკეთესია – უბრალოდ ნუ დააკბენინებთ თავს კოლოეებს: გამოიყენეთ საშუალებები, რომლებიც აფრთხობენ სისხლისმსმელებს.

განცხადება

„საქართველოს ენერგეტიკის აკადემია“ აცნობებს აკადემიის წევრებს, რომ 2011 წლის 1 ოქტომბრამდე დაფარული უნდა იყოს აკადემიის საწევრო გადასახადის დავალიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში „საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის“ წესდების 3.11 მუხლის თანახმად, აკადემიის წევრები, რომლებსაც აქვთ სამი და მეტი წლის საწევრო გადასახადის დავალიანება, გაირიცხებიან აკადემიის შემადგენლობიდან.

საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის საბანკო რეკვიზიტები:

„საქართველოს ბანკი“ მფო 220101502,

მიმღები: საქართველოს ენერგეტიკის აკადემია ს/კ 212273421,

ანგარიშის ნომერი: 3608000976.

◎ ინფორმაცია

იოსებ ნონეშვილის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია ფერხდება

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს მუზეუმის დირექტორმა თამარ საჩეჩელაშვილმა განუცხადა, რეაბილიტაცია რამდენიმე თვეა რაც დაიწყო, თუმცა საკმარისი ფინანსები არ არის და სამუშაოები ინტენსიურად აღარ მიმდინარეობს.

– ამ ეტაპზე მწერლის შვილი, სანდრო ნონეშვილი საკუთარი ფინანსებით ცდილობს რეაბილიტაციის ჩატარებას. პროგლემა თანხის მოძიებაშია. დაფინანსებას ადგილობრივი გამგეობაც შეგვპირდა, მაგრამ ჯერ არაფერია. მთლიანად გასაკეთებელია მუზეუმის პირველ სართულზე განთავსებული დარგაზი და მარანი, – აღნიშნა თამარ საჩეჩელაშვილმა.

ჯი-ეიჩ-ენი

ნომრის კარიკატურა

– მამიკო, ცოტა გვიან დარეკე, დედას არ სცალია, ვილაც კაცთან ერთად აბაზანაშია შესული.

ამირან ერაძის ნახატი.

◎ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

კითხვა: თუ შეიძლება, სამართლებრივად (კანონის მიხედვით) აგვიხსენით, რის საფუძველზე წარმოიშობა შრომითი ურთიერთობა და როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება სამუშაოს მიმცემსა და მიმღებს შორის? ჩვენი უფროსი „დიდ უფლებებს აძლევს თავს“ და ამას იმიტომ გეკითხებით.

გიორგი ჩუხრიკიძე

პასუხი: შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღებული შეთანხმებით.

აქვე გაცნობებთ, რომ ჩვენი რედაქცია (და პირადად მეძ ყველა კონსულტაციას მოქმედი კანონის საფუძველზე ვუწევთ მოსახლეობას. შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზებული მოწესრიგების პროგებში დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ თქვენი დამსაქმებელი არღვევს შრომის პროცესში კანონით დაწესებულ პირობებს დასაქმებულებთან (ამ შემთხვევაში, პირადად თქვენთანაძ ურთიერთობაში, შეგიძლიათ კონკრეტულად მოგვწეროთ რაში გამოიხატება იგი, ან მოტივირებული სასარჩელო განცხადებით სასამართლოს მიმართოთ.

* * *

კითხვა: მაქვს მცირე ხელფასი, რომელიც მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს ჩემს მრავალწევრიან ოჯახს: მყავს მოხუცი მშობლები, რომელთაც თავიანთი პენსია წამლის ფულადაც არ ჰყოფნით, უმუშევარი მეუღლე და 4 მცირეწლოვანი შვილი. შეუძლია თუ არა ჩემს ძირითად დამსაქმებელს, მომცეს უფლება ან ამიკრძალოს შეთავსებით მუშაობა?

მერაბ კონცელიძე

პასუხი: მოქმედი კანონის თანახმად, დამსაქმებელს უფლება აქვს მისცეს შესაძლებლობა მასთან მომუშავე პირს, ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს შეასრულოს სხვა ანაზღაურებადი სამუშაო, მაგრამ აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ დამსაქმებელს ასევე უფლება აქვს შრომითი ხელშეკრულებით შეზღუდოს დასაქმებულის შეთავსებითი მუშაობა, თუ იგი ხელს შეუშლის მას ძირითადი სამუშაოს შესრულებაში ან თუ პირი, რომლისთვისაც უნდა შესრულდეს სამუშაო დამსაქმებლის კონკურენტია.

◎ სულიერება

იოანე ნათლისმცემლის შობა

7 ივლისს მთელი მართლმადიდებელი სამყარო და საქართველოს სამოციქულო ეკლესიაც დღესასწაულობს – პატიოსნისა, დიდებულისა წინასწარმეტყველისა და ნათლისმცემლისა – იოანეს შობას.

იუდეაში ცხოვრობდა მღვდელი ზაქარია და მისი მეუღლე ელისაბედი. ისინი უშვილოდ მოხუცდნენ.

...ერთხელ, როცა მღვდელი ზაქარია მორიგ მღვდელმსახურებას ასრულებდა იერუსალიმის ტაძარში, მას საკურთხეველში გამოეცხადა უფლის ანგელოზი, ზაქარიას შეეშინდა, მაგრამ ანგელოზმა უთხრა: ნუ გეშინია, ზაქარია, შესმენილია შენი ლოცვა, შენი ცოლი ელისაბედი შობს ძეს და დაარქმევ მას იოანეს... მისი დაბადებით გევრნი გაიხარებენ, ვინაიდან ის მოამზადებს ხალხს ქვეყნის მხსნელის მისალებად.

...სახარება მოგვითხრობს – ანგელოზის კეთილი ხარება აუსრულდა მღვდელს. ზაქარიას მეუღლემ შვა ძე. შესრულდა სულიწმინდის წინასწარმეტყველება ყრმის დიდი მოწოდების შესახებ – იყოს უფლის წინამორბედი.

იოანე ნათლისმცემლის შობის დიდ დღესასწაულს განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნავენ ავჭალის იოანე ნათლისმცემლის შობის სახელოების ტაძარში.

გიული ლიპარტია

◎ დაიჯესტი

ერთგული დამცველები თუ ოთხფეხა მკვლელები?

სტაფორდი, მასტიფი, პიტბული, გულტერიერი – ეს ეგრეთ წოდებულ „საბრძოლო ძაღლთა“ ჯიშების არასრული ჩამონათვალია, თუმცა კი კინოლოგიაში ასეთი ცნება – „საბრძოლო ძაღლი“ არ არსებობს. ეს ტერმინი არცთუ კეთილსინდისიერი და არცთუ დიდად განსწავლულ ოგივატელთა მოგონილია, რომლებიც ძაღლების სისხლიან ბრძოლებზე დიდძალ ფულს აკეთებენ. ძაღლების ბრძოლები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იმართება, მაგრამ, თითქმის ყველგან, უიშვიათესი გამონაკლისების გარდა, ეს სისხლიანი სანახაობა, სადაც ხშირად ძალიან დიდი ფსონები იდება, კანონგარეშეა გამოცხადებული და მალულად იმართება. სხვათა შორის, ამ მხრივ, სამწუხაროდ, არც საქართველოა გამონაკლისი – ერთიხანობა ძაღლების ამ სასაკლაოს ტელევიზიითაც კი გადასცემდა რომელიღაც არხი, ვიდრე ტელეჩინოსნები თუ მათი უფროსები გონს არ მოეგნენ და გადაცემა ეთერიდან მოხსნეს.

სხვადასხვა ქვეყანაში ძაღლის ადგილი საზოგადოებაში განსხვავებულია. იქ, სადაც ამ მხრივ კანონმდებლობა უფრო განვითარებულია, ძაღლი კერძო საკუთრებაა და, როგორც ყველა

სახეობის საკუთრება, კანონით მკაცრადაა დაცული. ძაღლს რომ იჩენს, პიროვნება საკუთარ თავზე არა მარტო მორალურ, არამედ საკანონმდებლო პასუხისმგებლობასაც იღებს.

ამასთან, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ საბრძოლო ძაღლთა ჯიშებს ხასიათი წლიდან წლამდე უფრო აგრესიული უხდებათ, მათი ნერვული სისტემა საკმაოდ სწრაფი ტემპით უარესდება, რაც შეჯვარებისას სისხლის აღრევით და მკვლელობის ინსტინქტის იძულებითი მეთოდებით შთანერგვითაა განპირობებული. ეს ფაქტი ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ მოსკოვის მთავარმა გავშვთა ძირურგმა **ვასტანგ ნემსაძემ** დაადასტურა, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საბრძოლო ძაღლების გავშვებზე თავდასხმას თითქმის ყოველთვის ტრაგიკული შედეგი მოყვება.

ინფორმაცია თემაში

კემეროვში ძაღლმა ოთხი წლის ბავშვი გაგლიჯა, ტულაში ბულტერიერმა ძლიერად დაკბინა 11 წლის ბიჭი, ხოლო მოსკოვში ბულმასტიფი ორი წლის ბავშვს ეცა, როცა პატარა დედას... ხელში ჰყავდა აყვანილი! იმავე დღეს სტაფორდშირის ჯიშის ძაღლმა ჯერ 8 წლის გოგონა დაკბინა, რომლის სიცოცხლის გადარჩენას ექიმები დღესდღეობითაც ცდილობენ, მერე 14 წლის მოზარდი დაკბინა.

მიუხედავად იმისა, რომ საბრძოლო ძაღლებს წვრილ ჯიშებს მიაკუთვნებენ, გენეტიკურად ისინი მკვლელები არიან. **სისხლის სუნი მათზე უკიდურესად ალმგზნებად მოქმედებს, ისინი ტკივილს ნაკლებად გრძნობენ, უმნიშვნელო მიზეზითაც კი (მკვეთრი მოძრაობის, ან უნებლიედ ხმის აწევის გამოძ მათ შეუძლიათ კაცს ეცენ, თან უკან დახევა პრაქტიკულად არ შეუძლიათ.** ხშირად თავს ესხმიან მხოლოდ იმის გამო, რომ მათ წინაშე ადამიანის შიში იგრძნეს. ისინი შეტევაზე ხმის ამოუღებლად გადადიან და მაშინვე სხეულის გლეჯას იწყებენ. ხელის მოჭმა, ან ყელის გამოღადრა მათთვის ბევრს არაფერს ნიშნავს. მეტიც: ისინი უძრავად დაგდებულ ადამიანსაც არ ეშვებიან და შეტევას განაგრძობენ.

უნდა ითქვას, რომ საბრძოლო ძაღლების ბრძოლები თავდაპირველად **ინგლისში** ეწყობოდა, რომელმაც „მებრძოლთა“ მოშენება ჯერ კიდევ 1991 წელს აკრძალა. 1997 წელს მას მიყვა **ახალი ზელანდია,** 1998 წელს – **საფრანგეთი,** 2003 წელს – **ისრაელი,** 2008 წელს – **ავსტრალია,** ხოლო **იტალია, ესპანეთი, დანია და შვედეთი** თავიანთ ტერიტორიაზე მათ შეყვანასა და მოშენებას უკვე ათი წელია კრძალავენ.



გერმანიაში პიტბულტერიერებს ცივ იარაღს უთანაბრებენ. საბრძოლო ძაღლების მოშენება მთავრობამ 2006 წლის 26 ივნისის ჰამბურგში მომხდარი საშინელი ინციდენტის შემდეგ აკრძალა, როცა პიტბულმა ზევსმა 6 წლის ბიჭუნა დაგლიჯა. პიტბულტერიერების ქვეყნის ტერიტორიაზე შეყვანისა და მოშენების გარდა ასევე აიკრძალა გულტერიერების, სტაფორდშირებისა და უბრალო სტაფორდშირ-ტერიერრების შეძენა-მოშენება. მაშინ ძაღლების ნაწილი დაძინეს, ნაწილი საწვრთნელ განაკეთში გადაიყვანეს, ხოლო პატრონებს წელიწადში 1200 მარკა გადასახადი დაუწესეს.

საფრანგეთში საბრძოლო ძაღლების ყოლისა და მოშენების აკრძალვა მარსელში რვა გავშვის სიკვდილს მოყვა: ისინი ახალგაზრდა პიტბულტერიერმა დაგლიჯა, რომელიც პატრონს ავტომანქანიდან გაექცა.

სხვათა შორის, ევროპაში ადმინისტრაციული ჯარიმები ძაღლის უსადავოდ, უყელსაბამოდ, უალიკაპოდ და საამისოდ არანებადართულ ადგილას გამოყვანისთვის, ასევე მის შემდეგ გაწმენდაზე უარის თქმის შემთხვევაში, პატრონებს, საშუალოდ, 300 ევროს შეადგენს.

ამასთან, **ინგლისში,** ძაღლის თავდასხმის შედეგად დაზარალებული ადამიანი სამ მილიონ დოლარ კომპენსაციას იღებს! თუ ძაღლმა უცხო კაცს უბრალოდ ყეფა დაუწყო, პატრონმა ან 7 ათასი დოლარი ჯარიმა უნდა გადაიხადოს, ან ნახევარი წლით ციხეში ჩაჯდეს! ხოლო თუ ძაღლმა კაცი დაგლიჯა, ანდა თავდასხმისას მძიმე ტრავმები მიაყენა, პატრონს სულაც 20 წლამდე ციხე ემუქრება!

ჩვენში ასეთი „წვრილმანებისთვის“ არავის სცალია.

ლალი ხუნდაძე

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

1 აშშ	– 1.6651 ლარი
1 ევრო	– 2.4176 ლარი
1 გირ. სტ.	– 2.6790 ლარი
100 რუბლი	– 6.9888 ლარი
1000 სომ. დრამი	– 5.5141 ლარი
1 აზ. მან.	– 2.1163 ლარი
10 უკრ. გრივნა	– 2.0886 ლარი
1 თურქ. ლირა	– 1.0309 ლარი
10 ჩინ. იუანი	– 2.5764 ლარი

ამინდი დღეს

თბილისი.	+21 – +34
ქუთაისი.	+21 – +31
ბათუმი.	+22 – +29
ზუგდიდი.	+22 – +31
თელავი.	+22 – +32

◎ ანეკდოტები

მხოლოდ საქართველოში ითვლება სინონიმებად სიტყვები „დაივიწყე“ და „დაიკიდე“.

* * *

ცხოვრება უსამართლოა: მტაცებლებს უყვართ გალახჭამიები, ამ უკანასკნელებს კი მტაცებლები – არა!

* * *

– ეწევით? – ეკითხება ექიმი პაციენტს.
– არა, ექიმო.
– სვამთ?
– არა, ბატონო.
– ტყუილად გიხარიათ, რაღაცას მაინც გიპოვით.

* * *

ჭიჭიკიას ცოლმა ქმრის კაბინეტში უამრავი ცარიელი ბოთლი აღმოაჩინა და ქმარს უყვირის:

– შენ დაგაყარე მიწა, საიდან ამდენი ცარიელი ბოთლი?
– მეც არ მიკვირს, კაცო? მე ყოველთვის სავსე ბოთლებს ვყიდულობ ხოლმე!

* * *

– თქვენი პირველი მეუღლე კარგი კაცი იყო, რა დასანანია, ასე უდროოდ რომ გარდაიცვალა.

* * *

– ვაა, რა მთეგია!
– თქვენ, მეგობარო, ალპინისტი ხართ?
– არა ძმაო, მე მორფინისტი ვარ, მაგრამ მაინც მაგარი მთეგია.

* * *

მისალეგ გამოცდაზე სტუდენტი მიმართავს ზემოიმერული აქცენტით კახელ პროფესორს:
– ერთი ბილეთი კიდევ შეიძლება ავიღო?
– შეიძლება, ახალგაზრდავ, ოღონდ რკინიგზის სალაროში.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24